



ციბეხანი

№ 125 / 25 თებერვალი - 3 მარტი / 2013

ინტერვიუ გიორგი მარგველაშვილთან **33. 08**

მატარებელი ვილნიუსი-ბრიუსელი **33. 12**

რეპორტაჟი: კოსოვო 5 წლისა **33. 20**

ცეზარ ჩოჩელი და მისი იმპერია **33. 24**

„24 საათი“ - პრივილეზირებული მედია **33. 34**

სად მივყავართ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზას? **33. 40**

მოლაპარაკებებში დაკარგულები **33. 16**

ISSN 1987-7528



შანი 2 ლარი



"ჩინური ხელი" ქუთაისში

33. 44



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԲԱՆԿԱՆԿՆԵՐԻ ԶԱՅՑԱԿՈՒՄՆԵՐԸ

ԵՐԵՎԱՆԻ ԲԱՆԿԱՆԿՆԵՐԻ ԶԱՅՑԱԿՈՒՄՆԵՐԸ



მთავარი რედაქტორი
შორენა შვერდაველი

ალმასრულებელი რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

რედაქტორები
ლიკა ზაკაშვილი
ირაკლი აბსანძე

წარწერისთვის:

ზურაბ ვარდიანი, თათია ხალიანი,
ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი
გოგუა, გიორგი ჭიჭინაძე, სოფო
აფციაური, ეკა მაღალაძე, ლაშა
ქავთარაძე, ქეთევან ლევინაძე

კონტრიბუტორები:

გივი მგელაძე, ბუჩან სვანიძე, მარიამ
ასანიშვილი, ნათია ბილინიძე, სილვია
შტიოხერი, გია მაისაძე

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
ნათია ორმოცაძე

გამომცემლობა:

ლიბერალი
ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და გიგანტის
განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი

გაყიდვების მენეჯერი:

ქეთევან ქავთარაძე

მარკეტინგის მენეჯერი:

ია შენგელია

დისტრიბუტორი:

მიხეილ მამუჩიშვილი

ურნალის გამოცემის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.



გასულ კვირას ვანო მერაბიშვილმა 19 აპრილისთვის დიდი საპროტესტო აქცია დააანონსა. თბილისში, ძველი პარლამენტის შენობის წინ შეკრებილმა პატრიოტმა მოქალაქეებმა მოქმედ მთავრობას უნდა უთხრან, რომ ქვეყნის მომავალი ევროპაა და არა რუსეთი.

ამ რამდენიმეწუთიანმა განცხადებამ სრულიად წაღვინა საინფორმაციო ველი. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კიდევ ერთხელ შეუდგინა დღის წესრიგი მედიას. ჯერ არმოხდარი ამბავი ქვეყნის საინფორმაციო საშუალებების მთავარი თემა გახდა.

შენობაში, რომელთანაც ორი თვის შემდეგ გასამართი აქციაა დაანონსებული, პარლამენტი აღარ მუშაობს. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირები დღეში რამდენჯერმე ადასტურებენ, რომ ქვეყნის საგარეო კურსი არ შეცვლილა. ევროკომისიის გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე გასულ კვირას, თბილისში სტუმრობისას, „ლიბერალთან“ ინტერვიუში ამბობს, რომ ევროკავშირთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებზე მუშაობა ახალი მთავრობის პირობებში უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე აქამდე. აშშ-ის ელჩმა საქართველოში, რიჩარდ ნორლანდმა, მერაბიშვილის მიმართვიდან რამდენიმე საათში გააკეთა განცხადება, რომ საქართველოს საგარეო კურსის ცვლილება არ შეუძინებია და არც პროგნოზირებს.

„კიდევ ერთხელ უნდა დავანახოთ მთელ მსოფლიოს, რომ ჩვენი დასავლური კურსი უცვლელია და წარსულში არ დავბრუნდებით“ – აცხადებდნენ „ნაციონალი“ დეპუტატები 19 აპრილის აქციის კომენტარებისას.

რაც თავი მახსოვს, მსოფლიოსთვის სულ რაღაცების დანახვას ვცდილობთ. წესით, უნდა დაენახა აქამდე. ან, იქნებ, არ აინტერესებს მსოფლიოს იმის ნახვა, რასაც ქართველი ხალხი ასეთი სიხშირით სთავაზობს. იქნებ მსოფლიოს იმის დანახვა ურჩევნია, როგორ ვაგვარებთ ჩვენს პრობლემებს, როგორ ვცდილობთ შეთანხმდეთ, რა ტიპის თვითმმართველობა გვინდა ქვეყანაში; საპრეზიდენტო რესპუბლიკა გვირჩევნია თუ საპარლამენტო; რომელ ქალაქში უნდა იმუშავოს საქართველოს პარლამენტი; რა მიმართულებით უნდა განვითარდეს განათლების რეფორმა; თუნდაც ის, სუბტიტრები გვინდა ხოლმე ფილმების ნახვა თუ ხმოვანი თარგმანით.

ჩვენ კი სხვის დასანახად ცხოვრება გვირჩევნია. ორ თვეში, ღმერთმა უწყის უკვე მერამდენედ, ერთხელაც უნდა დავანახოთ მსოფლიოს!

ირაკლი აბსანძე
პოლიტიკის რედაქტორი




საე მიყვანით ყახნი-ახანიანის ხინიზას?

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი უკვე არაერთხელ გახდა ქართულ-აზერბაიჯანული გაუგებრობის მიზეზი: თუ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ეჭვქვეშ პროექტის ეკონომიკურ მიზანშეწონილობას აყენებს, აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრი ზია მამედოვი აცხადებს, რომ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის საქართველოს მონაკვეთზეც წესებს აზერბაიჯანი ადგენს.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი რუსეთის ტრანს-ციმბირული რკინიგზის მთავარ ალტერნატივად განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტს თავის დროზე „რკინის აბრეშუმის გზაც“ უწოდებს, მის განხორციელებას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს აშშ-ის კონგრესში. აშშ-ს კონგრესმა 2006 წლის დეკემბერში მიიღო აქტი, რომლის თანახმადაც აშშ-ს „ექსპორტ-იმპორტ ბანკს“ ამ პროექტის დაფინანსება აეკრძალა. კონგრესმენმა ჯოზეფ ქროულიმ, განაცხადა, რომ ეს სადავო რკინიგზის პროექტი „გამოთიშავს სომხეთს და გააგრძელებს ამ კავკასიელი ერის უკანონო ეკონომიკურ ბლოკადას“.


საუხი და მისი იმეხი

24 იანვარს ცეზარ ჩოჩელი დააპატიმრეს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 337-ე და 194-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით ედება და დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში 9-დან 12 წლამდე პატიმრობა ელის. თუმცა, მანამდე სასამართლო პროცესებია, რომლებზეც კბილაშვილის უწყება უკვე კარგა ხანია წარმატებებს ვერ აღწევს. ცეზარ ჩოჩელის და მისი მეუღლის, სვეტლანა ჩოჩელის უძრავ-მოძრავი ქონება და საბანკო ანგარიშები დაყადაღებულია, ყადაღა ადევს ტკბილეულის მწარმოებელი კომპანია „ბარამბოს“ უძრავ ქონებასაც, რომლის 70%-იანი წილის მფლობელი ექსგუბერნატორის ძმა იაგო ჩოჩელია. ცეზარ ჩოჩელი ბრალს არ აღიარებს. მის დაკავებას უმცირესობის წევრებაც გამოეხმაურნენ.


 ზურაბ ვარდიაშვილი 83.24

მინისტრობის 100 ღა

„მეცნიერების საუნვერსიტეტო სივრცეში ინტეგრაცია და მათი თანაარსებობა სწორი სტრატეგიული მიზანია. საქართველოში ეს ყველაფერი ცუდად და დარგის ინტერესების შელახვით განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ რაღაც გაფუჭდა, ამ ვითარებაში ჩვენი მიზანი არ არის, რომ გაფუჭებამდე არსებული მდგომარეობა აღვადგინოთ. უნივერსიტეტების ავტონომიურობა დაცული არ არის, კვლევისა და სწავლების ინტეგრაციის ხარისხი ძალიან დაბალია“


 ლიკა ზაკაშვილი 83.08



 მანანა ვარდიაშვილი 83.40

მატახებელი ვიდეოსი-ბიუსედი


ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირის საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულებას განიხილავენ. იმისთვის, რათა დოკუმენტში ჩაინეროს, რომ ევროკავშირი მზადაა ოდესმე საქართველო საკუთარ რიგებში მიიღოს, ევროკავშირის წევრი ოცდაშვიდივე ქვეყნის თანხმობაა საჭირო. განმარტებისათვის – ასოცირების ხელშეკრულება ის დოკუმენტია, რომელმაც მომავალ წლებში საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობები უნდა განსაზღვროს. ამ წუთებში, როცა თქვენ ამ სტატიას კითხულობთ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები, იმის შესახებ, თუ რა უნდა ჩაინეროს ტექსტში. 85%-ზე შეთანხმება უკვე მიღწეულია, თუმცა, კვანძის გახსნა წინ გველის.

 ბეჟან სვანიძე
03.12

პოლიტიკა

კოსოვო 5 წლისაა



 მარიამ ასანიშვილი
03.20

ნომერში:



- 04 მოკლედ **ორი აზრი**
- 06 უნდა დადგეს თუ არა საჯარო მოხელეების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი? **ინტერვიუ**
- 08 მინისტრობის 100 დღე **კომენტარი**
- 12 მატარებელი ვილნიუსი-ბრიუსელი
- 14 10 წელიწადში საქართველო 15 ყველაზე განათლებულ ერთა შორის უნდა იყოს **პოლიტიკა**
- 16 მოლაპარაკებებში დაკარგულები
- 20 კოსოვო 5 წლისაა
- 22 შტეფან ფულე: „ძალიან კმაყოფილი ვარ“ **მთავარი თემა**
- 24 ცეზარი და მისი იმპერია **ჟურნალისტური გამოძიება**
- 34 „24 საათი“ – პრივილეგირებული მედია **ეკონომიკა**
- 40 სად მივყავართ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზას? **საზოგადოება**
- 44 „ჩინური კედელი“ ქუთაისში **ლიბერალის ვებგვერდიდან**
- 46 მე – ადამიანი **თვალსაზრისი**
- 48 ციტატები

გამოცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“

„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

**საჩქ საჩქისიანი სომხეთის
ჩიხონიხონი აჩიჩიხ**



წინასწარი შედეგების მიხედვით, სერჟ სარქისიანი სომხეთის პრეზიდენტად მეორე ვადით აირჩიეს. მან ხმების 58,64% მოიპოვა. სარქისიანს მხარი 861-მა ათასმა ამომრჩეველმა დაუჭირა. მეორე ადგილზე ხმათა 36,75 %-ით პარტია „მემკვიდრეობის“ ლიდერი რაფი ოვანისიანი გავიდა. ხმების 2,15% კი ექს-პრემიერმა გრანტ ბაგრატიანმა მიიღო.

სერჟ სარქისიანი სომხეთის მესამე პრეზიდენტი 2008 წლის თებერვალში ჩატერებული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გახდა. ის რესპუბლიკური პარტიის ლიდერია და სწორედ მათი მხარდაჭერით შეძლო გამარჯვების მოპოვება. პრეზიდენტობამდე სარქისიანი პრემიერმინისტრის, სომხეთის თავდაცვისა მინისტრის და ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის პოსტს იკავებდა. საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს სულ შვიდი კანდიდატი იყრიდა. ოპოზიცია ხმათა გაყალბების შესახებ საუბრობს და საპროტესტო აქციებით იმუქრება.

**ჩხსეთი აშშ-ს ბაშვილიანი ჩხსი
ბაშვილის ბაშვილიანი**

21 იანვარს ტეხასში რუსეთიდან გაშვილებული 3 წლის ბიჭი, მაქსიმ კუზმინი დაიღუპა. ბიჭის დაღუპვის ფაქტს ტეხასის ხელისუფლება იძიებს. ამ ტრაგიკული შემთხვევიდან ცოტა ხანში, რუსეთის მთავრობამ აშშ-ს მოქალაქეებზე მიუსაფარი და უდღედ-მამო რუსი ბავშვების გაშვილება კანონმდებლობით აკრძალა.

20 თებერვალს რუსეთის საგამომდიებლო კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსანდრ ბასტრიკინმა რუს კანონმდებლებს აცნობა, რომ ნაშვილები რუსი ბავშვების დაღუპვის ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული. რუსეთის ბავშვთა ომბუდსმენმა პაველ ასტახოვმა კი მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მიაქცია ამ ფაქტს ყურადღება. იგი ბრალს აშშ-ის ხელისუფლებას სდებს. მისი განცხადებით, აშშ რუსეთის ომბუდსმენის ოფისისთვის ბოლო 20 წლის განმავლობაში რუსეთიდან აშშ-ში გაშვილებული 60 ათასი ბავშვის ბედის თაობაზე ინფორმაცია არ მიუწოდებია. აშშ-ის დიპლომატიური უწყება რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამ ბრალდებას უსაფუძვლოს უწოდებს.

ბაშვილიანი მთავრობა ბაშვილიანი




რამდენიმე დღიანი მასობრივი აქციების შემდეგ, რომელსაც არეულობა ახლდა, ბულგარეთის მთავრობამ გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო. პარლამენტის წინაშე გამოსვლისას, პრემიერ-მინისტრმა ბოიკო ბორისოვმა განაცხადა, რომ ის აღარ იმუშავებს იმ კაბინეტთან, რომლის დროსაც შესაძლებელია პოლიციამ უბრალო მოქალაქეები სცემოს. საპროტესტო გამოსვლები ელექტროენერგიაზე ფასების ზრდამ და მოსახლეობის თქმით, ზოგად მძიმე სოციალურმა პირობებმა განაპირობა. შეგეგად კი, სამშაბათს, სოფიაში, დემონსტრანტებისა და პოლიციის შეტაკებისას რამდენიმე ადამიანი დაშავდა. ბოლო 15 წელიწადში ეს გამოსვლები ყველაზე მსხვილმასშტაბიანი იყო.

**ვაშინახონი სახსიეთ ააშახიის
ჩიხონიხონი დახმარებას ააშახიის**

„ბი-ბი-სი“-ს ცნობით, ვაშინახონი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის სახელმწიფო დეპარტამენტის დახმარებას 24%-ით შემცირებას აპირებს. ახალი ბიუჯეტის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად კონგრესს გაეგზავნება, დახმარების მოცულობის შემცირებას პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ჯანდაცვის სფეროების პროგრამებისთვის ითვალისწინებს. პროექტში ძირითადი ყურადღება უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პროგრამებს ექცევა. ბიუჯეტის პროექტის თანახმად, საქართველო რეგიონში ყველაზე დიდი დახმარების მიმღები ქვეყნის სტატუსს შეინარჩუნებს, მაგრამ მისთვის გამოყოფილი თანხა 85-დან 68 მილიონ დოლარამდე შემცირდება. თბილისს ყველაზე მეტი თანხა „ეკონომიკური ზრდის“ გრიფით შემუშავებულ პროგრამებში დააკლდება, ხოლო თანხების მოცულობა კატეგორიაში „მშვიდობა და უსაფრთხოება“, პრაქტიკულად, უცვლელი დარჩება და ის 21,7 მილიონ დოლარს შეადგენს. ამ კატეგორიით ნატოს სტანდარტებთან დასაახლოებლად საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადება და ბირთვული გაუფრცხვლებლობის სფეროს ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლება გათვალისწინებული. შუა აზიის ქვეყნების დახმარებას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი 133,6-დან 118,3 მილიონ დოლარამდე შემცირებს.

**მუხონიხონის სეჩიში ახალი
ჩიხონი დახსი**

ჯილდოს სახელად „სიცოცხლის მეცნიერებებში გარღვევის პრემია“ ჰქვია და 3 მილიონ დოლარს მოიცავს. ეს თანხა ორჯერ აღემატება ნობელის პრემიით გათვალისწინებულ თანხას. ახალი პრემიის 11 ლაურეატი მულტიმილიონერი გახდა. პრემია ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე გავლენიანი პირების დაარსებულია. მათ შორის არიან „გუგლის“ თანადაამარსებელი სერგეი ბრინი, „ფეისბუქის“ დამაარსებელი მარკ ცუკერბერგი და



ინვესტორი ტექნოლოგიების სფეროში –
ოური მილნერში.

პირველი 11 გამარჯვებულებიდან 9 აშშ-ის
უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში
მოღვაწეობს, ერთი – იაპონიაში და
ერთიც – ჰოლანდიაში.

გაცემული თანხა კიბოსთან ბრძოლის,
გენეტიკასა და ლეროვან უჯრედებზე
მუშაობის სფეროებში უნდა დაიხარჯოს.
ფონდის წევრების თქმით, მათი მთავარი
მიზანი მეცნიერების სფეროში ენთუ-
ზიაზმის გაზრდა და იმ მკვლევართა
წახალისებაა, რომლებიც ადამიანის სი-
ცოცხლის გახანგრძლივებაზე მუშაობენ.
პრემიაზე კანდიდატების წარდგენა
მთელ მსოფლიოში ინტერნეტის მეშვე-
ობით ყველას შეეძლება. ნომინატებს
ასაკობრივი შეზღუდვა არა აქვთ დანე-
სებული.

ფონდის წარმომადგენლების თქმით,
ამ ახალი ჯილდოს სახით საქმე გვაქვს
„ყველაზე მსხვილ სამეცნიერო პრემიას-
თან ისტორიაში“.

იჩანის ბიხთვჯი ჰიოხამაზე მოლაპარაკებები ბიხილეა

დასავლელი დიპლომატის თანა-
ხმად, ირანთან მოლაპარაკებებ-
ში ჩართული ქვეყნების ექვსეული
ირანს მომავალ კვირაში დაგეგმილ
მოლაპარაკებებზე „სერიოზულ“ და „არ-
სებით“ წინადადებას შესთავაზებს.
26 თებერვალს ყაზახეთში ირანსა და

ექვსეულს (ბრიტანეთი, ჩინეთი, საფრან-
გეთი, გერმანია, რუსეთი და აშშ) შორის
მორიგი მოლაპარაკებები გაიმართება.

დასავლელმა დიპლომატმა, რომელმაც
ინკოგნიტოდ დარჩენა არჩია, განაცხადა,
რომ ახალი წინადადება „მნიშვნელოვან
ახალ ელემენტებს“ შეიცავს.

გასულ წელს გამართულ რამდენიმე შე-
ხვედრას ირანის ბირთვული პროგრამის
საკითხზე შედეგი არ მოჰყოლია.

"ჯოაბიტასიის ჰიოსუსი ხოჯანე მიხინაჰოუს"

ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტით
მყოფმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი
ალასანიამ ნატოს გენერალური მდივ-
ნის სპეციალურ წარმომადგენელთან
სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ
აზიაში ჯეიმს აპატურაისთან შეხვედრა
გამართა.

ოფიციალური ინფორმაციით, შეხვედრა-
ზე მხარეებმა საქართველოს თავდა-
ცვის სფეროში მიმდინარე რეფორმები,
საქართველო-ნატოს თანამშრომლობის
გაღრმავების საკითხები და საქართვე-
ლოს ალიანსში განწევრიანების პერსპე-
ქტივა განიხილეს.

„ჩვენ საქართველოში მიმდინარე რე-
ფორმაზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი.
მოხარული ვარ იმ რეფორმით, რაც
ალასანიამ გამაცნო. მეორე მხრივ,
საქართველოში უნდა მოხდეს მხარეებს
შორის შეთანხმება. კოაბიტაციის პრო-


ცესი რთულად მიმდინარეობს. გვსურს,
ქვეყნის შიგნით მხარეები ძირითად და
არსებით საკითხებზე შეთანხმდნენ“ –
განაცხადა აპატურაიმ.

დამასკოში მოხდის ახიანს 53 ადამიანი ემსხვერპლა

სირიის დედაქალაქ დამასკოში დანაღ-
მული მანქანის აფეთქებას 53 ადამიანის
სიცოცხლე ემსხვერპლა, 200-მა სხუ-
ლის სხვადასხვა დაზიანება მიიღო, –
ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ იუწყება.

აფეთქებაში, რომელიც სირიის მმართვე-
ლი პარტიის, „ბაასის“ სათავე ოფისთან
მოხდა, ადგილობრივი მედია ტერორის-
ტებს ადანაშაულებს.

თვითმხილველების განცხადებით,
დანაღმული მანქანა რუსეთის საელჩოს-
თან და პარტია „ბაასის“ ცენტრალური
ოფისის შუამდგომარე გამშვებ პუნქტზე
აფეთქდა.

გაეროს ბოლო მონაცემებით, სირიაში
მიმდინარე კონფლიქტს უკვე 70 ათასი
ადამიანი ემსხვერპლა. 



ღიას

ლევან ბერძენიშვილი

ჩვენი ინიციატივაა პასუხისმგებლობა კი არ მოეხსნათ ადამიანებს, არამედ დანაშაული ეპატიოთ. თუკი ადამიანმა დანაშაული ჩაიდინა, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს შესაბამის ადგილას და ეპატიება. ოღონდ, გარკვეული პირობების დაკმაყოფილება მოუწევს. მაგალითად, რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ იმუშავენ სახელმწიფო სამსახურში.


ნაციონალურ მოძრაობას უნდა, რომ ყველას ყველაფერი ვაპატიოთ, არ გამოვიძიოთ და საერთოდ არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დავაყენოთ. ეს არ მომხდარა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში. თან ვინ ითხოვს? ნულოვანი ტოლერანტობის მქონე ადამიანები, რაც წარმოუდგენელი სისულელეა.

ჩვენ ნაციონალებისგან დამოუკიდებლად მაინც მივიღებთ ამნისტიის კანონს. საშუალო და დაბალი რანგის მოხელეებს ამნისტია შეეხებათ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ სრულად მოეხსნებათ პასუხისმგებლობა. დანაშაულზე ვიტყვით, რომ დანაშაულია და ასეთი ადამიანი საჯარო მოხელის თანამდებობას ვერ დაიკავებს.

თუ ადამიანი არ იტყვის, რომ დამნაშავეა, მაშინ ჩვეულებრივი წესით მის დანაშაულს გამოიძიებენ და თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ დამნაშავეა, სასჯელს მოიხდის.

ნაციონალური მოძრაობა ცოტა დაიბნა ამ ნაწილში. მათ ის კი არ უნდათ, რომ ვაპატიოთ, არამედ სურთ, რომ ვალიაროთ, თითქოს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ.

მინისტრებისა და პარლამენტარების ამნისტირებაზე არაა საუბარი, ძალიან კარგად მესმის, რასაც გულისხმობენ. მათ არ უნდათ, რომ ნაციონალური მოძრაობის ათეულმა ათასმა წევრმა აღიაროს დანაშაული. მათი დავალებით ხომ რამდენიმე ათეული ათასი მასწავლებელი ახდენდა ზენოლას არჩევნებზე. არ ვამბობთ, რომ მათ საქმიანობა უნდა აეკრძალოთ, მაგრამ საჯარო მოხელის თანამდებობას ვერ დაიკავებენ.

ჩვენ მაინც მივიღებთ ამ კანონს. ნაციონალურ მოძრაობას ჰგონია, რომ რადგან მოლაპარაკების პროცესში ვართ, თანაბარნი ვართ. ასე არაა, ჩვენს მხარეს უპირატესობაა და შეგვიძლია, მათ გარეშეც მივიღოთ კანონი, ამას საკონსტიტუციო უმრავლესობა არ სჭირდება. ნაციონალური მოძრაობის წევრების ნაწილს ეს საშუალებას მისცემს გათავისუფლდნენ ნაციონალური მოძრაობის წნეხისგან, რომელიც მათ დანაშაულის მუდმივი შეხსენებით ინარჩუნებს. 



უნდა დადგეს თუ ახა სამხეთიდან ჩვენი პასუხისმგებლობა

■ ჩვენ ნაციონალებისგან დამოუკიდებლად მაინც მივიღებთ ამნისტიის კანონს. საშუალო და დაბალი რანგის მოხელეებს ამნისტია შეეხებათ... დანაშაულზე ვიტყვით, რომ დანაშაულია და ასეთი ადამიანი საჯარო მოხელის თანამდებობას ვერ დაიკავებს.



საჯახო მოხელეების ამბებლობის სახითი?

**■ შესაძლებელია კონკრეტული
მაღალჩინოსნების მხილება სისხლის
სამართლებრივ ქმედებებში, მაგრამ
პროკურორები სისხლის სამართლის
კოდექსის ფართო ინტერპრეტაციით არ
უნდა დაკავდნენ იმისთვის, რომ კუთხეში
მოიმწყვდიონ ყოფილი ჩინოვნიკები.**

არა

მარკ მალენი

ვერ ვხედავ ფინანსური ამნისტიის გამოცხადების მიზეზებს. გასული წლების განმავლობაში, სახელმწიფო მკაცრ საგადასახადო პოლიტიკას ატარებდა ჩვეულებრივი საწარმოების მიმართ, მაგრამ ლოიალურად იყო განწყობილი ე.წ. „მეგობრულ“ მედიასთან ან კონკრეტულ ჩინოვნიკებთან ასოცირებულ ბიზნესთან. პრეზიდენტმა თავისი ინიციატივა იმით დაასაბუთა, რომ ფინანსური ამნისტია ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ ჩემთვის ეს არგუმენტები არადაამაჯერებელია.


იმავედროულად, არ მგონია, რომ ახალი ხელისუფლება ასე უნდა ჩქარობდეს სისხლის სამართლებრივი საქმეების წარმოებას ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ. ცხადია, შესაძლებელია კონკრეტული მაღალჩინოსნების მხილება სისხლის სამართლებრივ მოქმედებებში, მაგრამ პროკურორები სისხლის სამართლის კოდექსის ფართო ინტერპრეტაციით არ უნდა დაკავდნენ იმისათვის, რომ კუთხეში მოიმწყვდიონ ყოფილი ჩინოვნიკები. ზოგ შემთხვევაში კი, შთაბეჭდილება იქმნება, რომ სწორედ ამგვარ დევნასთან გვაქვს საქმე.

კრიმინალური და ფინანსური დანაშაულის ურთიერთმიმართება მნიშვნელოვანია. არსებობს ზოგადი პრინციპი, რომ ციხეში უნდა ჩასხდნენ ისინი, ვინც ფიზიკური ზიანი მიაყენა ადამიანს. ციხეში ჩასმა იმ პირობისა, ვინც გადასახადებს არ იხდიდა, როგორც ეს ხდებოდა წინა ხელისუფლების პირობებში, ცუდი გზავნილია ბიზნესისა და ინვესტორებისათვის. კომპანიები, რომელთაც წინა ხელისუფლების დროს ჰქონდათ პრივილეგია, თავი აერიდებინათ გადასახადებისათვის, ბევრად მომგებიან და არაკონკურენტულ პირობებში იმყოფებოდნენ იმ კომპანიებთან შედარებით, რომლებიც გადასახადს იხდიდნენ. ამიტომ მათთვის ამ საგადასახადო დავალიანების დაკისრება რეალურად წაადგებოდა ეკონომიკას.

რასაკვირველია, უნდა ვიცოდეთ, რა ხდებოდა წინა წლების განმავლობაში და მშვიდად, წყნარად და ზედმეტი დრამატიზმის გარეშე მივყვეთ მოვლენებს. თუ ამჟამინდელი ოპოზიციის დიდი ნაწილი ციხეში აღმოჩნდება, ამ ფაქტს ცუდი გამოხმაურება ექნება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. თუმცა, ზოგი მაღალჩინოსნის ბრალი შეიძლება იმდენად მძიმე აღმოჩნდეს, რომ აუცილებლად უნდა დაეკისროთ გარკვეული პასუხისმგებლობა, მაგალითად გარკვეული ვადით აკრძალოთ საჯარო სამსახური.

არსებობს საშიშროება, რომ ახალმა ხელისუფლებამ, შესაძლოა, ეს თავის სასიკეთოდ გამოიყენოს და რეალური ოპოზიციის ჩამოყალიბების პროცესს შეუშალოს ხელი.

პასუხი ამ დილემაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესის სრული გამჭვირვალობაა, ისევე როგორც იმ კომპანიების მფლობელების ვინაობის ცოდნა, ვისაც საგადასახადო დავალიანება აქვთ. საქართველოში კი ბევრი კომპანია, რომელიც ოფშორშია დარეგისტრირებული, ამიტომ არავინ იცის, ვინ არიან ამ კომპანიების რეალური მფლობელები. ამიტომ, უნდა ამოქმედდეს კანონი, რომელიც მფლობელობის საკითხს შეეხება, იმისათვის, საჯარო მოხელეები ველარასოდეს დაიმალონ უცხოეთში დარეგისტრირებული ანონიმური კომპანიების უკან. **■**



ფოტო: ლევან ხაჩიკაშვილი

მინისტრობის 100 დღე

ინტერვიუ განათლების მინისტრ,
გიორგი მარგველაშვილთან

განათლების და მეცნიერების სახელმწიფო კომისიასთან ურთიერთობა, პრობლემები ხარისხის მართვის ცენტრში, მანდატურები, სამეურვეო საბჭოების გაზრდილი ფუნქციები, საუნივერსიტეტო რეფორმა – „ლიბერალი“ ამ საკითხებზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრს გიორგი მარგველაშვილს ესაუბრა.

განათლების და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიამ მუშაობა რამდენიმე თვის წინ დაიწყო. საზოგადოებამ უკვე იხილა კომისიის წევრების მიერ მომზადებული კონცეფციები, რომლებშიც უმაღლესი და ზოგადი განათლების

მოწყობის საკითხებს მოიცავს. როგორ რეჟიმში თანამშრომლობს განათლების სამინისტრო რეფორმის კომისიასთან? არის თუ არა ეს საქმიანობა კოორდინირებული?

გია დვალის ჯგუფი რეფორმის

ძალიან საინტერესო ნაწილზე მუშაობს, რომელიც გულისხმობს საქართველოში „ექსელენტ კლასტერის“ გამოვლენას და ჩამოყალიბებას. კომისია კონცეფციებს პერიოდულად აქვეყნებს, მეტ-ნაკლები ინტენსივობის კონცეფციე-

ბის განხილვაში საზოგადოებაც არის ჩართული. ამ პროცესის ბუნებრივი შემაბრკოლებელია ის, რომ გია უცხოეთშია. თუმცა, თვეში ერთხელ ჩამოდის. კომისიასთან ამ ეტაპზე ელექტრონულად ვურთიერთობთ – სატელეფონო ზარებით, იმეილით და სკაიპით.

პარალელურად სამინისტრო კონცეპტუალურ ჩარჩოს ქმნის, არა „ექსპლენეტ კლასტერთან“ მიმართებაში, არამედ არსებული სისტემის გამართვის ნაწილში. ჩვენ უნდა გავმართოთ სისტემა რეფორმის კომისიის მიზნებისთვის.

თუ ვსაუბრობთ განსაკუთრებული უნარების მქონე პროფესორის შესაძლებლობების და პოტენციალის გაძლიერებაზე ქართულ სამეცნიერო სისტემაში, ჯერ თვითონ სისტემა არ უნდა იყოს გაუმართავი და ოდიოზური. ამიტომ ორ სხვადასხვა ჯგუფში ერთი მიზნით მიმდინარეობს მუშაობა.

ვმუშაობთ, იმისთვის, რომ სისტემა მზად იყოს ამ მიზნებისთვის, რომ კონტრაქტები სწორად დაინეროს, ბიუჯეტი სწორად დაიგეგმოს, ადმინისტრაციებმა გამართულად იმუშაოს.

ეს პროცესი, ბუნებრივია, კორდინაციაშია დვალის კომისიასთან. გიამ იცის, მე რას ვაკეთებ, მე ვიცი, გია რას აკეთებს. უბრალოდ ფუქციების დიფერენციაცია მოხდა – მე ვამზადებ სისტემას იმ მისიისთვის, რასაც გია დვალის რეფორმა გულისხმობს.

მინდა, რომ გკითხოთ ხარისხის მართვის ცენტრის შესახებ. როგორც ვიცი, ცენტრის საქმიანობას აუდიტის სამსახური სწავლობს. რა ეტაპზეა მოკვლევა?

სისტემაში იმდენი პრობლემაა და იმდენი მანკიერებაა, რომ ღმერთმა ქნას, რომ არ გამოჩნდეს და ნაკლები იყოს. ეს ჩემი პოზიციაა და იმიტომ ვარ აქ, რომ ეს სისტემა გამოვასწორო.

როგორც ვიცი, ხარისხის მართვის ცენტრის რეორგანიზაცია ნაწილობრივ მაკა კორძაძის დირექტორობის დროს განხორციელდა, ცენტრს ჩამოშორდა სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების ფუნქცია, ასევე რეგიონული იურიდიული სამსახური, რომელიც საჯარო

სკოლებს იურდიულ დახმარებას უწევდა. სხვა რა სახის ცვლილებები იგეგმება? ვინ არის ცენტრის ახალი დირექტორი?

ახალი დირექტორი ელენე ჯიბლაძეა. რაც ბრძანეთ, მართალია, ეს ფუნქციები ჩამოშორდა. ცენტრის რეფორმასთან დაკავშირებით ქალბატონი ელენე მუშაობს, სამინისტროს წამოუდგენს კონცეფციას, დავამუშავებთ და შემდეგ გაგიზიარებთ, კიდევ ერთი ცვლილება განხორციელდა, გამრავალფეროვნდა აკრედიტაციის საბჭოები.

ნინა ხელისუფლების დროს სამეცნიერო ინსტიტუტები უნივერსიტეტებს

■ უნივერსიტეტების ავტონომიურობა დაცული არ არის, კვლევისა და სწავლების ინტეგრაციის ხარისხი ძალიან დაბალია. ამ პროცესის შედეგად ძალიან ბევრი მეცნიერის ინტერესები და პროფესიული ზრდა შეილახა.

შეუერთდა. თავად ეს პროცესი, როგორც ექსპერტები ამბობენ, სწორი იყო, რადგან სწავლება და მეცნიერება ინტეგრირებული უნდა იყოს. თუმცა, პროცესს თან ახლდა გარკვეული ხარვეზები. რა იცით ამ ხარვეზების შესახებ და გეგმავთ თუ არა ამ ცენტრებთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტულს?

მეცნიერების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაცია და მათი თანაარსებობა სწორი სტრატეგიული მიზანია. საქართველოში ეს ყველაფერი ცუდად და დარგის ინტერესების შელახვით განხორციელდა. მიუხედავად იმისა, რომ რალაც გაფუჭდა, ამ ვითარებაში

ჩვენი მიზანი არ არის, რომ გაფუჭებამდე არსებული მდგომარეობა აღვადგინოთ. უნივერსიტეტების ავტონომიურობა დაცული არ არის, კვლევისა და სწავლების ინტეგრაციის ხარისხი ძალიან დაბალია. ამ პროცესის შედეგად ძალიან ბევრი მეცნიერის ინტერესები და პროფესიული ზრდა შეილახა.

როდესაც პრობლემების წინაშე დავდექით, ჩვენ ორი გზა გვქონდა: ერთი – აღგვედგინა ის, რაც საქმის გაფუჭებამდე იყო და მეორე – მიგვეღო ის რეალობა, სადაც ვართ და შეგვექმნა უკეთესი. სამეცნიერო საქმიანობა ახალი ფორმით უნდა აღდგეს, რასაც ბატონი გია დვალი აკეთებს.

მაგალითად, ფსიქოლოგები ჩემთვის პროფესიულად ახლო ჯგუფია. ისინი დარგობრივ პრიორიტეტებზე აქტიურად მუშაობენ. ვაღიარებ, რომ სერიოზული პრობლემა იყო, გადავედით მეორე ეტაპზე – ეს პრობლემა გადავწყვიტეთ. ახლა არა ინსტიტუციური მონყობაზე, არამედ იმაზე ვმსჯელობთ, რა უნდა გააკეთოს დარგმა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია. ჩვენ პოლიტიკური დეკლარაციებიდან კონკრეტულ სამეცნიერო მსჯელობაზე გადავედით – რა არის მნიშვნელოვანი საქართველოსთვის? რა ელის საზოგადოებასა და მსოფლიო თანამებრძობას ქართველი ფსიქოლოგებისგან? როგორია დარგის მომავალი?

მანდატურის ინსტიტუტი კერძო სკოლებისთვის არასავალდებულოა, საჯარო სკოლებისთვის კი – სავალდებულო. შაშკინის მინისტრობის დროს მანდატურის ინსტიტუტს ორი რამის გამო აკრიტიკებდნენ: ერთი იმიტომ, რომ საზედამხედველო ფუნქციებს ასრულებდა და მეორე იმიტომ, რომ სკოლა საჯარო სამართლის იურიდიული პირია და თავად უნდა გადაეწყვიტა, სჭირდება თუ არა მანდატური.

ორივე რამ, რაც ბრძანეთ, პრინციპში, სწორია. მანდატურის სამსახური კანონის დონეზე აღარ ახორციელებს, ოპერატიულ საზედამხედველო ფუნქციას, არამედ სხვა არსი შეიძინა. საჯარო სკოლებისთვის მანდატურის სამსახური ამ ეტაპზე სავალდებულოა. ჩვენ

სხვა მექანიზმზე ვმუშაობთ. მივდივართ მოდელისკენ, როდესაც იარსებებს ბევრად უფრო ძლიერი ფუნქციების მქონე სასკოლო უბნის სამეურვეო სტრუქტურა, რომელსაც იმედი მაქვს, რომ ძალიან მალე პილოტირებას გავუკეთებთ. მიგვაჩნია, რომ ასეთი გადაწყვეტილებების მიღება, ისევე როგორც სხვა საკითხების გადაწყვეტა, სასკოლო უბნის კომპეტენცია იქნება. კონცეფცია დამუშავების ეტაპზეა.

სამეურვეო საბჭოების უფლება-მოვალეობები გადაიხედება? დირექტორის არჩევის წესშიც ხომ არ შევა ცვლილებები?

სასკოლო უბანს, სამეურვეო საბჭოსა და სამინისტროს შორის უფლებამოსილებები სხვანაირად გადანაწილდება. დირექტორების არჩევის წესთან დაკავშირებით ჯერ ვერ გიპასუხებთ. კონცეფცია ბოლომდე უნდა ჩამოყალიბდეს. მაგრამ სავარაუდოდ ძალიან ბევრი ფუნქცია გადავა სასკოლო უბნის დონეზე.

51-ე საჯარო სკოლიდან თქვენ გაათავისუფლეთ სკოლის დირექტორი დავით ლავილია? თუ იცნობთ აუდიტის დასკვნას? პედაგოგებს და მშობლებს მიაჩნიათ, რომ, ხარვეზები მნიშვნელოვანი არ იყო და მათ სკოლიდან დირექტორის გაათავისუფლების შესახებ თქვენი გადაწყვეტილება გააპროტესტეს.

ძალიან მნიშვნელოვან თემას შეეხეთ, რომელიც 51-ე საჯარო სკოლას სცდება და ზოგადად ქვეყნის პოლიტიკას ეხება. როცა ძლიერ აღმასრულებელ ვექტორს ვაქრობთ, აღარ არის მანდატურის სამსახური, რომელიც ატერორება მასწავლებლებს, აღარ არის სამინისტროში დაბარება და განხრეკვა და ა. შ. სისტემის გამართულობაზე პასუხისმგებლობას, წესით, საზოგადოება იღებს. როგორც კი ამ ძალაუფლების ვექტორებს ვასუსტებთ, იმ წუთში ეს ძალაუფლება სამოქალაქო საზოგადოებაზე უნდა აიღოს. სამოქალაქო საზოგადოებას უნდა აინტერესებდეს ასეთი თემების დარეგულირება. როდესაც სისტემის დემოკრატიზაციაზე ვსაუბრობთ, საზოგადოებას რაიმეს

კი არ ვჩქუნით, ვალდებულებას და ტვირთს ვადებთ.

იმედი მქონდა, რომ სამეურვეო საბჭოები როგორც კი დაინახავდნენ, რომ შეუძლიათ გადაწყვეტილების მიღება, თავზე ხელის გადასმის რეჟიმში არ იმოქმედებენ. იმ დარღვევების პირობებში, რაც 51-ე საჯარო სკოლაში დაფიქსირდა, არ შეიძლებოდა აღმასრულებელი ფიგურის სამსახურში დატოვება. ეს მე კი არ უნდა გამეკეთებინა, არამედ – სამეურვეო საბჭოს, რომელმაც თქვა, რომ დარღვევები იყო, მაგრამ არაუშავსო. ეს არის მძიმე დარტყმა ქართული დემოკრატიისთვის.

მახსოვს, როცა კერძო უნივერსიტეტის რექტორი იყავით, ნუხილს გამოთქამდით იმის გამო, რომ ერთიანი სამაგისტრო

კონცეფცია ბოლომდე უნდა ჩამოყალიბდეს. მაგრამ სავარაუდოდ ძალიან ბევრი ფუნქცია გადავა სასკოლო უბნის დონეზე.

ტრო გამოცდები სავალდებულო იყო კერძო უნივერსიტეტებისთვისაც. რამე ხომ არ შეიცვალა, კერძო უნივერსიტეტში ჩაბარების მსურველი სტუდენტების ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება ისევ სავალდებულოა?


შეგხვდით უნივერსიტეტების წარმომადგენლებს, მაგრამ ჯერ ვერ ჩამოვყალიბდით სისტემის ცვლილებაზე. ისინი ან უნდა გასულიყვნენ ამ პროცესიდან და შესაბამისად, უარი ეთქვათ სახელმწიფო დაფინანსებაზე, ან ამ სისტემის შენარჩუნება რთულდებოდა. ეს პრობლემა გადაუჭრელია, რადგან კონსესუსამდე ვერ მივდივით. როდესაც უნივერსიტეტი სახელმწიფო დაფინანსებაზეა მიბმული, სხვა მექანიზმი, გარდა იმისა, რომ სახელმწიფომ სტუდენტს გაატანოს ფული, არ არის.

ბაკალავრიატში 14 მიმართულებით სწავლა უფასო გახდა. რატომ მაინცდამაინც ეს 14 მიმართულება?

სხვადასხვა ჯგუფები არსებობს – პირველია ფუნდამენტური დარგები, რომელიც აუცილებელია ნებისმიერი ტექნიკური მეცნიერებისთვის. ფუნდამენტური დარგები ყოველთვის საბაზრო არ არის, მაგრამ აუცილებელი წინაპირობაა, რომ ქვეყანაში ნორმალური ტექნიკური განათლება არსებობდეს. ასევე ქართველოლოგიის დარგები, ეს არის არქეოლოგია, ფილოლოგია და ა.შ. ჩვენ როგორც ცოცხალი ერი, ვალდებული ვართ, რომ კაცობრიობას ქართული კულტურის შესახებ ინფორმაცია მივანოდოთ. შემდეგი ჯგუფია, რეგიონალური მიმართულების განვითარება, რაც დეკლარირებული სახელმწიფო პოლიტიკაა. აგრარული და საინჟინრო დარგების დაფინანსება პასუხი იყო მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

მინისტრობის 100 დღეს როგორ აფასებთ?

რაც შეეხება დაფინანსებას, პრინციპში, უკმაყოფილი არ ვარ. მოვახერხეთ სტუდენტების დაფინანსების გაორმაგება, მოვახერხეთ პედაგოგების ხელფასების გაზრდა, საქართველოში აღარც ერთი მოსწავლე სკოლაში მისასვლელად კილომეტრებს აღარ გადის.

რაც შეეხება სხვა თემებს, კონცეპტუალური გააზრების ნაწილში პრობლემას ვხედავ იმიტომ, რომ სასკოლო უბნები, სერიოზული რეფორმაა. სასწავლო გეგმების შინაარსობრივი გადახედვა მალე უნდა მოხდეს. წინ მიიწევეს საუნივერსიტეტო რეფორმა. ყველაფრისთვის მეტი დრო რომ მქონდეს უკეთესი იქნებოდა. ეს პროცესები მიბმულია სასწავლო ციკლთან. სექტემბერი ის დროა, როცა ეს ყველაფერი უკვე დამთავრებული უნდა იყოს. ამ ნაწილში, მაინც მგონია, რომ უკეთესი იქნებოდა, მეტი ყოფილიყო გაკეთებული, ჯერ ვერ მოვახერხეთ. 

ესაუბრა ლიკა ზაკაშვილი

იოტა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპითხე ყველაზე!

იპითხე კომფორტულად!

www.lit.ge

იოტა iOS-ისთვის ხაზგაღებულია გადმოვიტვირთოთ იპითხეთ lit.ge-ს ნიშნები და პერიოდობა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

კალიკანის გადმოტვირთვადაც, თქვენი მონეტარული ღირებულება iTunes-ზე მოქმედებით „IOTA READER“



მატახებელი ვიცნიუსი-ბიუსი

ვიცნიუსის სამიტზე ევროკავშირის საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულებას განიხილავენ. იმისთვის, რათა დოკუმენტში ჩაინეროს, რომ ევროკავშირი მზადაა ოდესმე საქართველო საკუთარ რიგებში მიიღოს, ევროკავშირის წევრი ოცდაშვიდივე ქვეყნის თანხმობაა საჭირო.

ბეჟან სვანიძე

ბოლო ორი კვირაა პრეზიდენტი მოსახლეობას იმ მატარებლის შესახებ აუწყებს, რომელიც ვიცნიუსის ცენტრალური რეინიგზის სადგურის ბაქანზე დგას და ნოემბრის ბოლოს ევროკავშირის მიმართულებით დაიძვრება. შეახტება საქართველო ამ მატარებელს? ორჯერ უკვე ვერ მოახერხა და მოხდება სასწაული მესამედ? თუ ბილეთებს ამჯერადაც გაგვიუქმებენ, როგორც ეს წინა ორ შემთხვევაში მოხდა? – საკითხავი, აი, ეს არის.

განმარტებისათვის – ვიცნიუსში 2013 წლის ნოემბერში დაგეგმილია აღმოსავლეთ პარტნიორობის

სამიტი, სადაც საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება უნდა მოხდეს. ასოცირების ხელშეკრულება კი ის დოკუმენტია, რომელმაც მომავალ წლებში საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობები უნდა განსაზღვროს. ამ წუთას, როცა თქვენ ამ სტატიას კითხულობთ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები, იმის შესახებ, თუ რა უნდა ჩაინეროს ტექსტში. 85%-ზე შეთანხმება უკვე მიღწეულია, თუმცა კვანძის გახსნა წინ გველის.



საუბარი ტექსტში ჯადოსნური სიტყვის ჩანერაზეა – „Georgia’s European perspective“ — ეს სამად სამი სანუკვარი სიტყვა მარტივად იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი იღებს ვალდებულებას საქართველო ოდესმე თავის რიგებში მიიღოს.

აქამდე ევროკავშირის მხრიდან არც ერთ ორმხრივ ოფიციალურ დოკუმენტში ეს არ ჩანერილა. ამის ნაცვლად კი ვიღებდით „The European Union takes note of Georgia’s expressed European aspiration“, რაც ოდენ იმას ნიშნავდა, რომ ევროკავშირი აღიარებდა ჩვენს ევროპულ მისწრაფებებს, მაგრამ თავის რიგებში მიღებაზე, როგორც პრეზიდენტი იტყოდა, წურას უკაცრავად.

და ახლა? მოხდება კი ეს

სასწაული ვილნიუსში? შევასტებით მატარებლის ბოლო ვაგონს მაინც?

დეჟა-ვიუს შეგრძნებაა. აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა 2009 წლიდან დაიწყო. მის დაწყებაში ლომის წვლილი შევედეთმა და პოლონეთმა ითამაშა. ევროკავშირმა 2009 წლის 9 მაისს პრალაში დეკლარაცია მიიღო. მაშინაც ასე იყო. ბოლო წუთამდე მიდიოდა ბრძოლა იმაზე, რომ დეკლარაციაში ასახულიყო ევროკავშირის ვალდებულება თავის რიგებში მიეღო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა). მაშინ ევროკავშირის ზოგიერთი მნიშვნელოვანი წევრი ქვეყანა ამის წინააღმდეგ წავიდა. რა მოხდება ახლა?

საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, ის ჯადოსნური სამი სიტყვა ასოცირების შეთანხმების ტექსტში ჩაიდოს. ამის წინააღმდეგი არც ევროკომისია და ევროკომისარი გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულეა, მისი ვადა 2014 წელს იწურება და უნდა საქმიანობა მაჟორულ ნოტაზე დაასრულოს. თუმცა, საქმე ის გახლავთ, რომ ამ გადაწყვეტილებას მარტო ევროკომისია არ იღებს. ამ ჯადოსნური სიტყვების ჩანერას ევროკავშირის წევრი არც ერთი ქვეყანა არ უნდა შეეწინააღმდეგოს. 27 ქვეყანა და არც ერთი უარი – ასეთია მოცემულობა და აქ იწყება წინააღმდეგობათა მთელი ჩამონათვალი:

1. ევროკავშირის ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში განწყობა ისეთია, რომ ევროკავშირის გაფართოების ნაცვლად ევროზონის გადარჩენაზე, დიდი ბრიტანეთის კლუბში დატოვებაზე, უმუშევრობასა და ქვეყნების დეფოლტის კლანჭებიდან თავის დაძვრენაზე ფიქრობენ. ამიტომ უჯობთ მომავალი რამდენიმე წელი სწორედ ამაზე გადაიტანონ აქცენტი, გაფართოება კი დაივიწყონ.


2. 2003 წლის 21 ივნისის ერთ მზიან დღეს, საბერძნეთის ზღვისპირა ქალაქ სალონიკში ევროკავშირმა უკვე მისცა მსგავსი დაპირება დასავლეთ ბალკანეთის (ყოფილი იუგოსლავიის) ქვეყნებს: ალბანეთს, ბოსნია-ჰერცეგოვინას, ხორვატიას, იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიას, სერბეთსა და მონტენეგროს. ამათგან 2013 წლის 1 ივლისს ხორვატია შეუერთდება ევროკავშირს. დანარჩენები კი ჯერ კიდევ თავიანთ რიგს ელიან. ასე რომ, ევროკავშირს ამ რეგიონში საქმე ჯერ კიდევ არ აქვს დასრულებული და

დიპლომატიურ ენაზე რომ ითქვას, *Pacta Sunt Servant*-ა ანუ აღებული ვალდებულების შესრულების მოვალეობა დამოკლეს მახვილივით თავზე ჰკიდია. ამის გათვალისწინებით, ახალი ვალდებულების აღებაზე დიდი ალბათობით უარს იტყვის.

3. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან საქართველომ და მოლდოვამ, ბოლო ორი წელია, რაც ფლაგმანის სტატუსი გადმოიბარეს. მანამდე ყინულმჭრელობის მისია უკრაინას ჰქონდა დაკისრებული. ამიტომაც იყო, პირველმა სწორედ უკრაინამ რომ დაასრულა ასოცირების ტექსტის შეთანხმება, თუმცა მისი რატიფიცირება არ მომხდარა მიზეზთა და მიზეზთა გამო და დღემდე დახურული დოკუმენტი. ჩვენთვის სამსუხარო კი ის არის, რომ იმ ტექსტში ის ჯადოსნური სამი სიტყვა არ ჩანს. იქ მხოლოდ ეს წერია „European Union acknowledges the European

■ საუბარი ტექსტში ჯადოსნური სიტყვის ჩანერაზე – „Georgia’s European perspective“ – ეს სამად სამი სანუკვარი სიტყვა მარტივად იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი იღებს ვალდებულებას საქართველო ოდესმე თავის რიგებში მიიღოს.

an aspirations of Ukraine and welcomes its European choice“ – ევროკავშირი აღიარებს უკრაინის ევროპულ მისწრაფებებს და მიესალმება მის ევროპულ არჩევანს. წერტილი. არავითარი ევროპული პერსპექტივა. არავითარი ახალი ვალდებულებები გაფართოების შესახებ. არადა, ევროკავშირის საკითხებზე მომუშავე ერთი ევროპელი ექსპერტისა არ იყოს – როცა ევროკავშირი აღმოსავლეთით იყურება, პირველს უკრაინას ხედავს, დანარჩენები კი მერე მოდიანო.

ასე რომ, პრეზიდენტის მოლოდინი ვილნიუსის სამიტის მიმართ ძალიან გადამეტებულია, თანაც მისი გამოსვლები ხალხში შესაბამის მოლოდინს აჩენს. საქართველოს ხელისუფლება კი მეფისა და მხატვრის არაკის გმირის მდგომარეობაშია: წავა ვილნიუსში, ხელს მოანერს შეთანხმებას, სადაც ევროკავშირში ქვეყნის შესაძლო მიღება მკაფიოდ არ იქნება განერილი და ეს მის იმიჯზე იმოქმედებს. კიდევ ერთხელ გაუმეორებენ, რომ მაღიმალ ჩრდილოეთისაკენ იმზირება. ბოლომდე დაუდგება ევროპის ზენოლას და უარს იტყვის ხელშეკრულების ხელის მონერაზე მასში ევროკავშირის მხიდან საქართველოს გაერთიანებაში განვერიანების მკაფიო დაპირების გარეშე და – ისევ იმავეს ეტყვიან, რომ ევროპული მისწრაფება ჩრდილოეთზე გაცვალა და საპრეზიდენტო პენსიაზე მიმავალ პრეზიდენტს დარდად გულში მატარებელზე ვერმისწრება გაატანა. 

10 წელიწადში საჯარო 15 ყვანაზე ბანატიბუი ჩითა შოხის უნდა იყოს

რადიკალური ცვლილებები, რაც გამონვეულია გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური რევოლუციის ნაზავით, სამუშაო ბაზარზე უკიდურეს კონკურენციას იწვევს. იგი შესაძლებლობების არნახულ საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მქონეთ და მძიმე მდგომარეობას უქმნის დაბალი განათლების ადამიანებს, განსაკუთრებით კი – მამაკაცებს.

გია მაისაშვილი

ბაზარი დღეს ძირითადად სამ სეგმენტად იყოფა. პირველი მოიცავს არარეგულარულ, მაღალი კვალიფიკაციისა და შრომითი ჩვევების სამუშაოს. რაც ვერ დაყვანება გარკვეულ ალგორითმამდე, ვერ გადაითარგმნებოდა კომპიუტერულ პროგრამად ან რობოტად და ასევე ვერ გაციფრულდება. ასეთი სამუშაო მოიცავს კრიტიკულ-ანალიტიკურ აზროვნებას, შემოქმედებითობას, წარმოსახვასა და იმპროვიზაციას, ლოგიკურ აზროვნებას, მათემატიკურ ჩვევებს, სწრაფი გადაწყვეტილებისა და სიტუაციის განსჯის უნარს. ის მოითხოვს რაღაც ახლის შექმნას – ახალი პროდუქტი, ახალი მომსახურება, ახალი ინტუიცია, ახალი ინვესტიცია, ახლებურად საქმეების კეთებას და ა.შ.

არარეგულარული, მაღალკვალიფიციური სამუშაო, როგორც წესი, ინჟინრების, ეკონომისტების, პროგრამისტების, დიზაინერების, ფინანსისტების, მენეჯერების, სპორტსმენების, მუსიკოსების, ბუღალტრების, მსახიობების, შოუ ბიზნესის წარმომადგენლების, მეცნიერების, იურისტების, ექიმების, მწერლების, უნივერსიტეტის პროფესორების, არქიტექტორების, ტექნიკოსების, ელექტრიკოსების სფეროა. ამ სამუშაოს თანამედროვე

გლობალიზაციისა და ტექნოლოგიურ რევოლუციის ნაზავი კი არ აუფერულებს, პირიქით, უფრო პროდუქტიულს ხდის. თუკი ამ არარეგულარულ, მაღალკვალიფიციურ სამუშაოთა კატეგორიაში ხარ, მაშინ გლობალიზაცია და ტექნოლოგიური რევოლუცია შენი მეგობარია.

მეორე სეგმენტი რეგულარული, საშუალო კვალიფიკაციის სამუშაოა, რომელიც მოიცავს დიდი რაოდენობის სტანდარტიზირებულ, გამეორებად ამოცანებს. ასეთი სამუშაოები გლობალიზაციისა და ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა. ისინი ადვილად შეიძლება „გაციფრულდნენ“, ალგორითმად იქცნენ და კომპიუტერული პროგრამის მიერ ადვილად დაიძლიონ.

სამუშაო ბაზრის მესამე სეგმენტი მოიცავს მუშაკებს, რომლებიც ასრულებენ არარეგულარულ, მაგრამ ხელით შრომას, რაც უნარებს არ მოითხოვს. ასეთებია მცხოვრები, მშენებელი მუშა, მძლოლი, პარიკმახერი, ძიძა, მეხანძრე, და ა.შ. ვერც ერთი რობოტი და კომპიუტერი ვერ შეცვლის მათ შრომას, მაგრამ დიდი ანაზღაურება, ასეთ სამუშაოს, როგორც წესი, არ მოაქვს.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ თანა-



მედროვე ეკონომიკას ორი ტიპის მუშაკი ჰყავს – შემქმნელი და მომსახურენი. შემქმნელი ზრდიან პროდუქტიულობას, ხოლო მომსახურენი ძირითადად ამ შემქმნელებს ემსახურებიან. მრავალი მომსახურე ჩანაცვლდება კომპიუტერით, მანქანით და პროგრესით. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელსაც თანამედროვე მუშაკები უნდა უსვამდნენ თავს, ასეთია – ვზრდი თუ არა ღირებულებას ჩემი განსაკუთრებულობით, უნიკალურობით და შეუცვლელივით? ვქმნი თუ არა დამატებით ღირებულებას რაღაც განსხვავებულად მიმზიდველი და ეფექტური ქმედებით?

ახალი სამყარო გამოგონებლების, ინოვაციების, მოაზროვნების ხანაა, მათი, ვისაც სურთ შეცვალონ სამყარო, ემსახურონ სიკეთეს და გახადონ დედამიწაზე სიცოცხლე ცოტათი უფრო უკეთესი. ასე რომ, ჩვენ გვჭირდება რაც შეიძლება მეტი ადამიანი, რომლებიც შემოქმედებითი შემქმნელები და შემოქმედებითი მომსახურენი იქნებიან. ზოგი მათგანი ამას მოახერხებს ახალი პროდუქტის აღმოჩენით, ზოგი კი არსებული სამსახურისა და მომსახურების ახლებურად შესრულებით, რუტინული სერვისისათვის ახალი შთაგონების და შინაარსის მიცემით. ეს ახალი რეალობა იქნება ჩვენ ირგვლივ. ორგანიზაციები დღეს ითხოვენ ისეთ მუშაკებს, რომელთაც ძალუძთ კრიტიკული, ანალიტიკური აზროვნება, შეუძლიათ არარუტინული, რთული ამოცანების გადაწყვეტა და გუნდურ გარემოში ოპერირება, ხშირი ინოვაცია.

განუხრელი ინოვაცია დღეს უკვე ფუფუნება კი არა, აუცილებლობაა. ამ ურთიერთდაკავშირებულ სამყაროში ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლება, გაკეთდება. მხოლოდ ერთი კითხვა რჩება ორგანიზაციებისთვის და ერებისთვის – შენ გააკეთებ თუ სხვა? თუ ჩვენ ვერ შევქმნით ეკონომიკურ რენესანსს, თანამედროვე ინფრასტრუქტურას, ეფექტურ საგადასახადო სისტემას, სამართლიანი თამაშის წესებს, მაშინ ჩვენი კონკურენტები შექმნიან და ბიზნესიდან გაგვიყვანენ. სწორედ ამიტომ, დღეს ჩვენი ეროვნული უშიშროება და ყოფნა-არყოფნა ჩვენი განათლების სისტემის ხარისხზე დამოკიდებულია.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური რენესანსი დამოკიდებულია ჩვენს სკოლებში მათემატიკის, ფიზიკის, წერის, ტექნოლოგიის, ჩვევების სწავლების დონეზე. ამის გარეშე არ იქნება ეროვნული უსაფრთხოება, ამის გარეშე არ იქნება ინდივიდუალური უსაფრთხოება და კეთილდღეობა. ამიტომაც, ის ქვეყანა, ვინც

■ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური რენესანსი დამოკიდებულია ჩვენს სკოლებში მათემატიკის, ფიზიკის, წერის, ტექნოლოგიის, ჩვევების სწავლების დონეზე. ამის გარეშე არ იქნება ეროვნული უსაფრთხოება, ამის გარეშე არ იქნება ინდივიდუალური უსაფრთხოება და კეთილდღეობა. ამიტომაც, ის ქვეყანა, ვინც პირველია განათლებაში, პირველი იქნება ეკონომიკაშიც.

პირველია განათლებაში, პირველი იქნება ეკონომიკაშიც.

განათლების სისტემის რეფორმა არ იქნება ეფექტური, თუ ჩვენი ერის მთავარი ამოცანა არ დავსახეთ, რომელიც იქნება მკაფიო, კონკრეტული, ხელშესახები და გასაზომი. ეს ამოცანა, ჩემი აზრით, უნდა იყოს 10 წელიწადში საქართველოს 15 ყველაზე განათლებულ ერთა შორის მოხვედრა. გაეროს ამ რეიტინგში მხოლოდ ნარჩინებული ერები ხვდებიან. საგულისხმოა, რომ ეკონომიკური კვლევის ერთ-ერთმა წამყვანმა ორგანიზაციამ „The Economist’s Intelligent Unit“ სულ ახლახან გლობალური ტალანტის ინდექსი შექმნა, რომელიც ქვეყნების რანჟირებას შემდეგი სლოგანით ახდენს – „ტალანტი ახალი ნავთობია და ისევე როგორც ნავთობში, აქაც მოთხოვნა დიდად აჭარბებს მოწოდებას“.

ამიტომაც ეკონომიკური რენესანსი ყოველთვის განათლების რენესანსის კონტექსტში უნდა მოხდეს. ეკონომიკა და განათლება ერთი მონეტის ორი მხარეა. ეს მონეტა კი ნარჩინებული საზოგადოებაა.

სკოლამდელი ასაკის განათლებით უნდა დავინწყოთ და მთავარი ყურადღება ბავშვებისთვის შემოქმედებითი აზროვნების სწავლებას უნდა მივაქციოთ. განათლების რეფორმის მთავარი ნიშანი უნდა იყოს ე.წ. „Student first“, „სტუდენტია მთავარი“ დამოკიდებულება. სასწავლო სისტემაში უნდა შემოვიღოთ მენტორის ინსტიტუტი. ყოველ ბავშვს უნდა ჰყავდეს უფროსკლასელი მენტორი. ამ უფროსკლასელი ბავშვის საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებულ იქნას მისი მენტორობისას განეული ძალისხმევა და ასევე, მისი პატარა მეგობრის სასკოლო წარმატება. ყველა მოსწავლეს უნდა ჰყავდეს აკადემიური მრჩეველი მასწავლებელთა რიგებიდან, რომლებიც იქნებიან პასუხისმგებელი „თავიანთი“ მონაფეების აკადემიურ მოსწრებაზე.

ასეთი მიდგომა მონაფეებს შორის ერთმანეთზე პასუხისმგებლობისა და მოვალეობის გრძნობას აამაღლებს, მათ მოქალაქეობის სულისკვეთებით გაზრდის და ამავე დროს, არც ერთი ბავშვი არ დაგვრჩება მასწავლებლის ყურადღების მიღმა. დღეს განათლება აღარ არის არჩევანი, აუცილებლობაა საშუალო ფენის შექმნისათვის, რომელსაც საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სიჯანსაღე ემყარება. **■**

მოლაპარაკებაში დახახბულება

მოლაპარაკება ორ პოლიტიკურ ძალას: „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის მცირეხნიანი გამოდგა – დახურულ კარს მიღმა მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესმა მხოლოდ ათ დღეს გასტანა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის მიერ საგანგებო ბრიფინგზე გაკეთებულმა განცხადებამ მოლაპარაკების ჩაშლის თაობაზე, ყბადაღებული კოჭაბიტაცია, კიდევ ერთხელ, შორეულ თუ ახლო პერსპექტივაში გადაანაცვლა.

ნათია ბილიხოძე

პოლიტიკური დიალოგის ოფიციალური მოტივი საკონსტიტუციო ცვლილებების თაობაზე შეთანხმება და საერთო აზრზე შეჯერება იყო. თუმცა, სრულიად მოულოდნელად მოლაპარაკებების ჩაშლის მიზეზი არა საქართველოს კონსტიტუციის რომელიმე პრინციპი, არამედ საჯარო მოხელეთა სრული ამნისტიის საკითხი გახდა.

სწორედ იმ დღეს, როდესაც თბილისში ბაჩანა ახალაიას საქმესთან დაკავშირებული გახმაურებული პროცესი მიმდინარეობდა, ქუთაისში საქართველოს პარლამენტში, თავად პარლამენტის თავმჯდომარემ „ნაციონალების“ მოთხოვნა საჯარო გახადა – უპირობო და სრული ამნისტია ყველა საჯარო მოხელეს (პრეზიდენტიდან მუნიციპალიტეტის რიგით თანამშრომლამდე) 2012 წლის 1 ნოემბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, გარდა ძალადობრივი, კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული და სხვა მსგავსი მძიმე დანაშაულებებისა. მოთხოვნის



ასეთი, თავდაპირველი ფორმა შიგა მოლაპარაკების შედეგად ფორმულირდა და „ნაციონალური მოძრაობა“ განსხვავებულ ვარიანტზე შეჯერდა. მათ ახლა უკვე პრეზიდენტის, მინისტრებისა და პარლამენტის წევრების გარდა, სხვა დანარჩენების ამნისტია მოითხოვეს. „ქვეყანაში საჭიროა სამოქალაქო მშვიდობა და თანხმობა. თუ ამ მშვიდობას სჭირდება ლიდერების დასჯა, მზად ვართ, ყველა დანარჩენს დაანებონ თავი“ – ეს უკვე მოგვიანებით მოლაპარაკებების ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა, დავით ბაქრაძემ განაცხადა



უსუფაშვილის, სააკაშვილის და ბაქრაძის პრესკონფერენცია პრეზიდენტის სასახლეში, თებერვალი 2013

ფოტო ინფორმაციის

„ჩვენ ვერ დავეთანხმებით მათ ვერსიას, რადგან მათი ვერსიით ამნისტიას ექვემდებარება კუდის უფროსები, პროკურორები, მინისტრის მოადგილეები. ეს უსამართლობაა და ხალხს ჩვენთვის ასეთი იმუნიტეტი არ მოუცია“, – განაცხადა, ჩვენთან საუბრისას, უმრავლესობის ლიდერმა, თინა ხიდაშელმა, რომელიც უპირობოდ იცავს საკუთარი გუნდის ვერსიას, რომლის თანახმადაც სრული ამნისტია ეხება საშუალო და ქვედა რგოლის საჯარო მოხელეებს 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, გარდა და-

ლადობრივი და კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებებისა.

იმას, რასაც უმრავლესობა ამნისტიას უწოდებს, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ პოლიტიკური დევნის შეწყვეტა – „თვისობრივი განსხვავებაა პატიებასა და პოლიტიკურ ზენოლას შორის. ის, რაც ხდება თვითმმართველობების, სამინისტროებისა და დაბალი რანგის მოხელეებთან მიმართებაში, არის პოლიტიკური ზენოლა და სხვა არაფერი, სწორედ ამის შეჩერებას ვითხოვთ ჩვენ“, – ამბობს უმცირესობის წევრი, გია თევდორაძე.

მოკლედ, საკონსტიტუციო ცვლილებებზე მოლაპარაკება ჩაიშალა. არადა, თითქოს საკვანძო საკითხებზე შეთანხმება ორივე მხარეს შორის მიღწეული იყო – „ქართული ოცნება“ თანხმდებოდა კონსტიტუციური ცვლილებების შემდეგ ნებისმიერი სხვა კონსტიტუციური ცვლილებისათვის საჭირო კვორუმის გაზრდას 2/3-დან 3/4-მდე,

საგარეო პოლიტიკური საკითხების კონსტიტუციაში ჩანერას იმ სახით და იმ ფორმით, რასაც „ნაციონალები“ ითხოვდნენ, პარლამენტის ადგილსამყოფელის თაობაზე ინიცირებული კონსტიტუციური ცვლილებისთვის კენჭისყრის გადადებას წლის ბოლომდე, კონსტიტუციის 2010 წლის მოდელის მხოლოდ ნაწილის ამოქმედებას ისე, რომ პრეზიდენტს ვადის ამოწურვამდე დარჩენოდა გუბერნატორების დანიშვნის უფლება, პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად კვლავ კვალიფიციური უმრავლესობა ყოფილიყო საჭირო, პრეზიდენტის იმპიჩმენტის გართულებული პროცედურები დარჩენილიყო უცვლელად და სხვა.

„როდესაც საქმე საქმეზე მიდგა და დაინახეს, რომ ჩვენ ყველაფერზე ვთანხმდებოდით, მთავარი ამოცანა მიღწეული იყო და მათთან დავაში არ შევდიოდით, იძულებულნი გახდნენ შემოეტანათ ისეთი საკითხი, რისთვისაც მთელი ეს ამბავი დაიწყო. უმცირესობას სინამდვილეში საერთოდ არ აქვს საკონსტიტუციო თემატიკის ინტერესი“, – ამბობს თინა ხიდაშელი.

მართალია მოლაპარაკება ჩაიშალა, მაგრამ გაინელა დრო. დრო, რომელიც ნაციონალურ მოძრაობაზე მუშაობს. „ნაციონალური მოძრაობა“ ოპერაცია „აპრილისთვის“ ემზადება. 19 აპრილს იგეგმება ფართომასშტაბიანი მიტინგი, რომლის მთავარი მიზანია, პარტიის ლიდერის, ვანო მერაბიშვილიც განცხადებით, ქართველი ხალხის შეკრება და იმის თქმა, რომ „ჩვენი მომავალი არის ევროპული გზა.“ ვანო მერაბიშვილის ეს ინიციატივა, პარლამენტში უმრავლესობის წევრმა, ზაქარია ქუცნაშვილმა კონკრეტულად ახსნა და მას „ადამიანთა განწყობების მანიპულაცია“ უწოდა.

ადამიანთა განწყობები კი მანიპულირების გარეშეც რეალობასთან ერთად იცვლება. სადაც ხარ იქაური ქუდი უნდა დაიხუროს პრინციპით, რეგიონებში საჯარო მოხელეებმა „ქართული ოცნების“ ქუდეები დაიხურეს. არადა, სწორედ რომ საშუალო და ქვედა დონის მოხელეებია ის ძალა, რომელიც „ნა-

ციონალებისთვის“ სასიცოცხლო ფუნქციის შემძენია. „ლიდერები აქ ვართ, სხვა დანარჩენს დაანებონ თავი“, – დავით ბაქრაძის ეს განცხადება არ არის მხოლოდ თვითგვემის პოზა, ეს ჩაშლილი მოლაპარაკებების მიზეზიც არის – პოლიტიკური ვაჭრობა ძალთა თანაფარდობაზე. დაკარგული მცირე მოხელეთა რგოლი ნაგებული არჩევნებია, ამიტომაც არის, რომ ნაციონალური მოძრაობა რეგიონული გუნდის შენარჩუნებას თვით საკონსტიტუციო ცვლილებების ღირებულებას უტოლებს. „პრაქტიკულად შეთანხმებული ვართ ყველა მუხლზე, ვთანხმდებით საკონსტიტუციო მოდელზე, ეს ყველაფერი ვერ მოხდება იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში 15 000 ადამიანია დაკითხული, მხოლოდ ერთადერთი ნიშნით – ისინი არიან ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული.“

ნაციონალური მოძრაობის პოზიციის მიუხედავად, უმრავლესობა ორი კვირის ვადაში მოამზადებს კანონპროექტს საჯარო მოხელეთა ამნისტიის შესახებ, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ის პრინციპები, რაც უკვე შესთავაზეს ოპოზიციას.

და კიდევ ერთი, ჩაშლილი მოლაპარაკებების ფონზე, კვლავაც საორჭოფოდ რჩება საკითხი, წარსდგება თუ არა საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტში ანგარიშით, პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტი ისევ არჩევნის წინაშე დააყენა: „თქვენ ბრძანებთ, რომ ბრძანდებით საქართველოს კონსტიტუციის დაცვის გარანტი და ჩვენც სწორედ საქართველოს კონსტიტუციაზე ვსაუბრობთ. მზად ხართ თუ არა დაუბრუნოთ საქართველოს პარლამენტს ის უფლება, რომელიც ეკუთვნის მას, მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში და საზოგადოებაში? ამაზე თქვენი მზაობა რაც უფრო მალე გაცხადდება მით უფრო მალე მოგვარდება სხვა ბევრი პრობლემა. კიდევ ერთხელ განვმარტავ, ამ კითხვაზე თქვენი პასუხი განსაზღვრავს არა იმას, თქვენ პარლამენტში გამოხვალთ თუ არა, არამედ იმას, პარლამენტი შეძლებს თუ ვერ შეძლებს თქვენს მოსმენას.“

არის თუ არა ეს ერთგვარი ულტიმატუმი წაყენებული პრეზიდენტისადმი პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან? ეს კითხვა თინა ხიდაშელს დავუსვით, რაზეც გვიპასუხა: „ულტიმატუმი საკრალური სიტყვა ხომ არ არის მუდმივად რომ კითხულობთ? ჩემი პასუხი ასეთი იქნება – ვისაც როგორ უნდა ისე გაიგოს.“

■ იმას, რასაც უმრავლესობა ამნისტიას უწოდებს, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ პოლიტიკური დევნის შეწყვეტა – „თვითმპირი განსხვავება პატივსა და პოლიტიკურ ზენოლას შორის. ის, რაც ხდება თვითმპირთვითობების, სამინისტროებისა და დაბალი რანგის მოხელეებთან მიმართებაში, არის პოლიტიკური ზენოლა და სხვა არაფერი, სწორედ ამის შეჩერებას ვითხოვთ ჩვენ“, – ამბობს უმცირესობის წევრი, გაათველორძე.

ყოველი პეტიტი 11:20
მეცხრე პეტიტი კოვჩი

PRESS-პეტიტი

პეტიტი პეტიტი პეტიტი



პეტიტი პეტიტი პეტიტი



ჩაპოჩხაუი

კოსოვო 5 წლისაა

კოსოვოს დამოუკიდებლობა მსოფლიოს 90-ზე მეტმა სახელმწიფომ ცნო. ქვეყანა ომისშემდგომ იარებს ნელ-ნელა იმუშებს და ძირითადად, საერთაშორისო დახმარების ხარჯზე ცხოვრობს.

მარიამ ასანიშვილი

17 თებერვალს კოსოვოში დამოუკიდებლობის დღე ნელს უკვე მეხუთედ აღნიშნეს. მეც მეგობრებთან გასული შაბათ-კვირის გასატარებლად პრიშტინაში წასულმა სრულიად შემთხვევით და დაუგეგმავად თავი ეროვნულ დღესასწაულზე ამოვყავი.

კოსოვო საერთაშორისო სამართლისთვის საინტერესო და აქტუალური თემაა. როგორც იურისტს, რამდენჯერმე მომიწია ამ რეგიონის პრობლემებზე მუშაობა. მაგრამ ახალ ამბებში და სამართლის წიგნებში წაკითხულ-წარმოდგენილი და რეალურად ნანახი შეიძლება საკმაოდ განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის და საერთაშორისო სამართლის მაგისტრისთვის, კოსოვო სერბეთის ნაწილია. ყოველ შემთხვევაში, დიდი სურვილი მაქვს ასე იყოს. მინდოდა მეონოდა იმედი, რომ ოდესმე კოსოვო სერბეთს დაუბრუნდება. ეს იმედი ბოლოს, მაგრამ მაინც მოკვდა, ყოველ შემთხვევაში უახლოესი რამდენიმე ათწლეულის პერსპექტივაში.

პრიშტინაში წასლვამდე ვამბობდი, რომ მივდივარ სერბეთში, კონკრეტულად კი კოსოვოში. მაგრამ ჩემმა თანამშრომლებმა გამაფრთხილეს, რომ ეს კოსოვოში ხმამაღლა არსად უნდა მეთქვა. ასევე მიჩიქეს, საზღვარზე ფრთხილად ვყოფილიყავი, რადგან საქართველოს მოქალაქე ვარ და ჩვენ კოსოვოს დამოუკიდებლობა არ გვიცნია (დამსახურებულად). ისე ოფიციალურად, კოსოვო იმ მცირეოდენ ქვეყანათა რიცხვში შედის, სადაც საქართველოს მოქალაქეს ვიზა არ სჭირდება,



მაგრამ, რადგანაც ევროკავშირის მოქალაქესთან ერთად მიწევდა მგზავრობა, თავი გავიმხნევე და ვთქვი, რომ თუ გაგვიშვებენ, ორივეს გაგვიშვებენ მეთქი. ასეც მოხდა.

მოკლედ, ნამდვილად არ ველოდი იმას, რომ კოსოვოში ნახევარი მოსახლეობა ლტოლვილთა ბანაკებში იცხოვრებდა. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ არც ბევრად უკეთესს ველოდი. არ ველოდი, რომ სახელმწიფო სტრუქტურები იმუშავებდნენ, მაგრამ მუშაობენ (სხვა საკითხია – როგორ). ბოლოსდაბოლოს, კოსოვოდან არეულობის და ომის გარდა ხომ ბევრი არაფერი გვსმენია.

პრიშტინაში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს ის, რომ მთელ ქა-

ლაქში უზომოდ ბევრი კოსოვოს და ამერიკის დროშა გამოფენილი. ქვეყანაში (უფრო სწორად რეგიონში) ტაქსის მძღოლიდან დაწყებული რიგითი მოქალაქით დამთავრებული ყველა კარგად ლაპარაკობს ინგლისურად. ქალაქი ჭუჭყიანი და არქიტექტურულად ულამაზოა, მაგრამ შენდება უამრავი ახალი, გამჭვირვალე (!) შენობა. საცხოვრებელი სახლების 80% ბოლო 10 წლის განმავლობაშია აშენებული.

თუ არ ჩავთვლით მანქანების ქაოტურ მოძრაობას, ქალაქი ჩვეულებრივი, მშვიდი რიტმით ცხოვრობს. პრიშტინაში ფაქტიურად არ იგრძნობა კონფლიქტის კვალი. ერთადერთი რამაც არამართო დამაფიქრა, არამედ შემზარა კიდეც, იყო რკინიგზა, რო-

მელიც ადრე პრიშტინას ბელგრადთან აკავშირებდა. დღეს ამ რკინიგზაზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ იგრძნობა. არის მიტოვებული, მოწყენილი, ატალახებული, ბალახიანი და მარტოსული... რკინიგზა, რომელსაც არსად მიყავხარ, რკინიგზა, რომლის მოქმედება ომმა შეაჩერა სულ თუ არა, დიდი ხნით მაინც.

**■ გვანყობს და გვინდა
თუ არა, ჩვენ, ქართველებს
კოსოვოს დამოუკიდებლობა,
ეს ცაკლე საკითხია. მაგრამ
ფაქტი ჯიუტია. კოსოვო
სახელმწიფოა, თავისი
პრობლემებით, მაგრამ
ასევე დროში, გერბით,
საჯარო სტრუქტურებით
და“სუპერსახელმწიფოდან”
წამოსული მასიური
ფინანსური მხარდაჭერით.**

პრიზრენში კი შემზარავი სანახაობა დამხვდა პრიზრენი სამხრეთ კოსოვოში ალბანეთის საზღვართან ახლოს მდებარე ქალაქია, რომელიც მასიურად ალბანელებითაა დასახლებული. ქალაქის ცენტრში (ძალიან მცირე რადიუსში) აღმართულია 30-ზე მეტი სხვადასხვა ზომის მეჩეთი. იმ დასახლებაში კი, სადაც ადრე სერბები ცხოვრობდნენ, ყველა საცხოვრებელი სახლი გადამწვარია და შავად ლივლივებს. გადამწვარია მართლმადიდებლური ეკლესიები. შემორჩენილია მარტო ეკლესიების და სახლების შემზარავად შავი და ცივი ნანგრევები, რომელიც საფრთხობელასავით გადმოჰყურებს ქალაქს და რელიგიათა შორის დაუსრულებელ ომზე გვიყვება. ომზე, რომელიც

ამ რეგიონში ქრისტიანობის მარცხით დამთავრდა. ქალაქში შემორჩენილია რამდენიმე მართლმადიდებლური ტაძარი, რომელსაც დაცვის სამსახური იცავს და მავთულხლართებითაა შემოსაზღვრული. ამ ეკლესიებმა, შეიძლება რამდენიმე წელში აღარც კი იარსებონ.

პრიშტინას მთავარი სანახაობა ცნობილი წარწერა-მონუმენტია **Newborn** – „ახლადდაბადებული“, რომელიც ქუჩაში გამვლელებს კოსოვოს ახლადდაბადებულ სახელმწიფოებრიობას აუწყებს. ხუთწლიანი დამოუკიდებლობის აღსანიშნავად მონუმენტზე გამოსახეს იმ ქვეყანათა დროშები, რომლებმაც კოსოვოს დამოუკიდებლობა აღაიარა.

საინტერესოა ისიც, რომ ევროკავშირის 22-მა და ევროსაბჭოს 34-მა წევრმა ქვეყნამ უკვე ცნო კოსოვოს სახელმწიფოებრიობა. მთლიანობაში, 90-ზე მეტმა ქვეყანამ მსოფლიოში აღიარა კოსოვო. და თუ ჩემს მასპინძელს კოსოვოში და ევროსაბჭოს ექსპერტს დავუჯერებთ, ტენდენცია მზარდია. თუმცა, კოსოვოს ინტეგრაცია გაეროში, რა თქმა უნდა, ჯერ ისევ ძალიან შორეული (ალბათ, არარეალურიც) პერსპექტივაა.

აქ ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია მუშაობს, მე თუ მკითხავთ, ზედმედად ბევრიც. ასევე, ჩემი მასპინძლის ინფორმაციით, კოსოვოში კანონის უზენაესობის და სამართლიანი სასამართლოს საკითხებზე მომუშავე ერთ-ერთი საერთაშორისო მისიის ბიუჯეტი ყოველწლიურად მთელი ევროსაბჭოს ბიუჯეტს აჭარბებს. და ზოგადად, საერთაშორისო საზოგადოებას კოსოვოს სახელმწიფოებრიობის „შენახვა“ ძალიან ძვირი უჯდება.

უკვე რამდენიმე დღეა მშვიდობით დავბრუნდი პოდგორიცაში (მონტენეგრო), სადაც ამჯერად ვცხოვრობ და ვმუშაობ. პოდგორიცა ბევრად უფრო მონესრიგებული, მშვიდი, სუფთა და ლამაზი მომეჩვენა კოსოვოს შემდეგ. ჩამოსვლის მერე სულ ვფიქრობ კოსოვოზე და ვცდილობ იქ ნანახი ჩვენს ქართულ კონფლიქტებს შევადარო. საინტერესოა ის, რომ კოსოვოში თითქმის არავინ ამბობს, რომ კოსოვო-

ლია. მოსახლეობის უმრავლესობა ამბობს, რომ არის ალბანელი. იშვიათ და კარგ შემთხვევაში ამბობენ, რომ არიან კოსოველ-ალბანელები. ანუ კოსოველი ერი, როგორც ასეთი, არ არსებობს.

ასევე კოსოვოში მცხოვრებ მოქალაქეთა უმრავლესობას უნდა, რომ კოსოვო ალბანეთის ნაწილი გახდეს. ალბანეთს უნდა თუ არა კოსოვოს მიერთება – რთული საკითხია. თუ ალბანეთის ეკონომიკურ მდგომარეობას და იმ ხარჯებს გავითვალისწინებთ, რაც კოსოვოს „შენახვას“ უნდა, ალბანეთს კოსოვოს მიერთება არ უნდა სურდეს. კოსოვოში ეკონომიკა ფაქტიურად არ არის განვითარებული, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მდიდარ მალაროს და წვრილ კერძო ბიზნესს. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ დღემდე ქვეყანა საერთაშორისო დახმარებიდან წამოსული თანხებით ცხოვრობს.

უნდა ვაღიარო, რომ ამ კონფლიქტის კვალიფიკაციისას როგორც ქართული კონფლიქტების პატრონი, სუბიექტური ვარ და კოსოვოს დამოუკიდებლობას მხარს არ ვუჭერ. კოსოვო საუკუნეების განმავლობაში სერბეთის ნაწილი იყო. სერბული კულტურა ფაქტიურად კოსოვოდან მოდის. სერბეთისთვის კოსოვოს წართმევა იგივე იყო, რაც საქართველოსთვის ქართლის წართმევა იქნებოდა. ასევე საკამათოა ალბანელთა გენოციდის საკითხი, რომელიც კოსოვოელთა თვითგამორკვევის უფლების და კოსოვოს ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ერთ-ერთ მთავარი მიზეზად იქცა.

გვანყობს და გვინდა თუ არა, ჩვენ, ქართველებს კოსოვოს დამოუკიდებლობა, ეს ცაკლე საკითხია. მაგრამ ფაქტი ჯიუტია. კოსოვო სახელმწიფოა, თავისი პრობლემებით, მაგრამ ასევე დროში, გერბით, საჯარო სტრუქტურების მოქმედებით (თუ უმოქმედობით), „სუპერსახელმწიფოდან“ წამოსული მასიური ფინანსური მხარდაჭერით, ამ მხარდაჭერით დაგებული ვრცელი ავტობანებით და ჯარით, რომელიც შემორჩენილ სერბიულ-მართლმადიდებლურ ნანგრევებს და ნასახლარებს სრული განადგურებით ემუქრება. **■**

შტაფან ფუნ: "ქალიან ხაყოფილი ვაი"

ევროკავშირის გაფართოებისა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარი შტეფან ფუნე 12-13 თებერვალს თბილისში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის შეხვედრაში მონაწილეობდა. ამ ვიზიტის ფარგლებში ბატონი ფუნე მედიასთან საკმაოდ სიტყვაძუნნი იყო, თუმცა „ლიბერალმა“ მოახერხა მისთვის რამდენიმე შეკითხვის დასმა.

სილვია შტიობერი



ახალი მთავრობა ევროინტეგრაციაზე მხოლოდ საუბრობს თუ საქმიანაც აინტერესებთ ევროპასთან დაახლოება?

ეჭვიც არ მეპატება, რომ აინტერესებთ. ჩვენ ამას მხოლოდ განცხადებებით კი არ ვაფასებთ, არამედ შესრულებული სამუშაოთი. მთავრობის საქმიანობაში განგრძობითობა იგრძნობა. თანამშრომელთა იგივე რაოდენობა დაკავებული ასოციირების დეტალების გარკვევით, რაც მანამდე. ბევრს მუშაობენ

და ზოგ თემასთან მიმართებით უფრო სწრაფ პროგრესსაც კი ვაღწევთ. ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ზოგიერთ საკითხზე შეთანხმება, შესაძლოა, ვილინუსის სამიტამდეც შედგეს.

იმედი მაქვს, მალე დავიწყებთ მუშაობას ვიზების ლიბერალიზების სამოქმედო გეგმაზე. ასევე ვამზადებთ ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმებას. ვიმედოვნებ, შემოდგომისთვის საქართველო და ევროკავშირი ასოციირების კონკრეტულ სამუშაო გეგმაზე შეთანხმდებიან.

ქალიან კმაყოფილი ვარ. აღმოსავლეთ პარტნიორობის კონკრეტულ თემებზე მუშაობა წარმატებულად მიმდინარეობს.

შეფოთება გამოთქვით 8 თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებით. საქართველოში ორდღიანი მოლაპარაკებების შემდეგ, რა შეგიძლიათ დაამატოთ?

ეს ისტორიის მეორე მხარეა. ოქტომბერში რაც ვთქვი, იმასვე გავიმეორებ. ევროკავშირთან დაახლოება მხოლოდ ასოციირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებზე თანამიმდევრულ მუშაობაზე არაა დამოკიდებული და მხოლოდ შეთანხმებებსა და საჯარო განცხადებებს არ გულისხმობს. პარტნიორობა ძირეულ ფასეულობებს, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს და ფუნდამენტურ თავისუფლებებსაც ეხება.

ეს ქალიან მნიშვნელოვანი ელემენტებია. უნდა ვთქვა, რომ ზოგიერთი ინფორმაცია დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს. შესაძლოა, ეს კოჰაბიტაციის პირდაპირი ან ირიბი ეფექტი იყოს. მონაწილეები თავად უნდა

შეთანხმდნენ ამ საკითხებზე. ევროპული ინსტიტუტები და ევროკომისია ასეთ თემებზე მომლაპარაკებელი და მსაჯული ვერ იქნება. თუმცა არც იმას ვამბობ, რომ ჩვენ პასიური დამკვირვებლები ვართ. საქართველომ საკუთარი სწრაფვა ევროპული პერსპექტივისკენ ერთმნიშვნელოვნად დაადასტურა.

ჩემი და ქეთრინ ეშტონის ერთობლივი განცხადების გზავნილიც პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისათვის ერთმნიშვნელოვანი იყო: მათ უნდა მოიძიონ ერთმანეთთან კომუნიკაციის გზები და უნდა შეთანხმდნენ შეცდომების გამოსწორებაზე. უნდა დამტკიცონ, რომ კოჰაბიტაცია ევროკავშირთან დაახლოების პროცესში შემაფერხებელი არ იქნება. ორივემ ერთი როლი უნდა შეასრულოს. ძირეული ბაზისი უნდა შექმნან კოჰაბიტაციისთვის, რაც თავისთავად რთული მდგომარეობაა და დასავლეთევროპული დემოკრატიებისთვისაც კი არ იქნებოდა მარტივი. ეს, რა თქმა უნდა, დიდი გამოწვევაა

■ ევროკავშირთან დაახლოება მხოლოდ ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებზე თანამიმდევრულ მუშაობაზე არაა დამოკიდებული და მხოლოდ შეთანხმებებსა და საჯარო განცხადებებს არ გულისხმობს. პარტნიორობა ძირეულ ფასეულობებს, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს და ფუნდამენტურ თავისუფლებებსაც ეხება.

ქვეყნისთვის, რომელმაც ისტორიაში პირველად შეძლო ხელისუფლების თავისუფალი და მშვიდობიანი არჩევნების შედეგად შეცვლა. მაგრამ მნიშვნელოვანია, და ეს ორივე მხარე მოეთხოვება, ქვეყნის ინტერესები საკუთარ პირად ან პარტიულ ინტერესებზე მაღლა დააყენონ.

ხომ არ გრჩებათ შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი ევროკავშირისა და ნატოს თემებს მთავრობასთან შიდაპოლიტიკურ კონფლიქტში იყენებს?

ჩემი შესაფასებელი არაა, ამ რთულ ვითარებაში ვინ როგორ იქცევა. კიდევ ერთხელ მინდა ძალიან მკაფიოდ ვთქვა, ორივემ მხარემ უნდა იზრუნოს იმისთვის, რომ ვილნიუსის სამიტზე საქართველო ძლიერი, პასუხისმგებლობიანი დემოკრატიის სახით წარსდგეს, რათა ყველა დაარწმუნოს, რომ ის მზადაა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ვიზების ლიბერალიზაციისათვის. □

RadioCommersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge



საზაფხულო და მისი იმპერია

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია და სამენარმო საქმიანობაში არაკანონიერი მონაწილეობა – ესაა დანაშაულები, რომელთა გამოც მცხეთა-მთიანეთის ექსპერტორს, ცეზარ ჩოჩელს, გამოძიება ედავება.

ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი, ფოტო: გიორგი გოგუა



ცეზარ ჩოჩელი უბრძოლველად
დანებებას არ აპირებს

ყოფილი გუბერნატორი ემოციური კაცია. საუბრის დროს ხელებს ფართოდ შლის, მეტყველების ენერგიული მანერით და ფამილარული ჟესტიკულაციით მსმენელის სრულ ყურადღებას ითხოვს. უბრალოდ აცვია, ერთი შეხედვით მის გარშემო მოფუსფუსე მუშებისგან ვერ გამოარჩევთ, თუმცა, თუ კარგად დააკვირდებით, ფიცხად და უშუალოდ მოსაუბრე,

ჭაღარაშერთულ, შუახნის მამაკაცში მტკიცე ნებისყოფის კაპიტალისტს სწრაფად ამოიცნობთ. მისი ოჯახის ბიზნესიმპერია ლუდიდან დაწყებული, საყოფაცხოვრებო ნივთებით გაგრძელებული და სამშენებლო მასალებით დამთავრებული, უამრავი პროდუქციის წარმოებას მოიცავს. ჩოჩელების უძრავი ქონების ძირითადი ნაწილი მცხეთა-მთიანეთის რეგიონ-

■ გამოძიების მიერ მტკიცებულებების შეფასებისა და საერთო ანალიზის საფუძველზე, ცეზარ ჩოჩელის უკანონოდ მიღებულმა შემოსავალმა 5 421 845 ლარი შეადგინა. უკანონო სამენარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები მას საჯარო მოხელის ყოველწლიურ ქონებრივ დეკლარაციაში არ აუსახავს". - ეს ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე დღესაც გამოქვეყნებულია.

შია მოქცეული.

24 იანვარს ცეზარ ჩოჩელი დააპატიმრეს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 337-ე და 194-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით ედება და დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში 9-დან 12 წლამდე პატიმრობა ელის.

თუმცა, მანამდე სასამართლო პროცესებია, რომლებზეც კბილაშვილის უწყება უკვე კარგა ხანია წარმატებებს ვერ აღწევს. აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე გამართული სხდომის დროს ბრალდების მხარე ექსპერტურის დაპატიმრებას ითხოვდა, თუმცა სასამართლომ ის 200 000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

ცეზარ ჩოჩელის და მისი მეუღლის, სვეტლანა ჩოჩელის უძრავ-მოდრავი ქონება და საბანკო ანგარიშები დაყადაღებულია, ყადაღა ადევს ტკბილეულის მწარმოებელი კომპანია „ბარამბოს“ უძრავ ქონებასაც, რომლის 70%-იანი წილის მფლობელი ექსპერტურის ძმა იაგო ჩოჩელია.

ცეზარ ჩოჩელი ბრალს არ აღიარებს. მის დაკავებას უმცირესობის წევრებიც გამოეხმაურნენ. „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის თქმით, ბრალდებები სასაცილო და თითქმის გამონოვლია.

ცეზარ ჩოჩელს, როგორც საჯარო მოხელეს, სამენარმეო საქმიანობა კანონით ეკრძალებოდა. „ამის მიუხედავად შპს „ნიუ-ენერჯის“ ფაქტიურად ხელმძღვანელობდა, მფარველობდა და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტების შესრულებასთან დაკავშირებული კონტრაქტების გაფორმებაში ხელს უწყობდა. სანაცვლოდ დიდი ოდენობით უკანონო შემოსავალს ღებულობდა და ფულის გათეთრების მიზნით კანონიერ სახეს აძლევდა.“ – ვკითხულობთ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

გამოძიების მტკიცებით, ცეზარ ჩოჩელმა 2009 წლის ნოემბერში შპს „ნიუ-ენერჯის“ მოსთხოვა, რომ „ბერტას“ ანგარიშზე ფული გადაეირცხა. „ბერტას“ თანადადამფუძნებელი ცეზარ ჩოჩელის ძმა იაგო ჩოჩელია. „ნიუ-ენერჯიმ“ ჩოჩელის უკანონო მოთხოვნა დააკმაყოფილა და შპს „ბერტა“ — ში 5 360 000 ლარი ეტაპობრივად გადაირცხა“, – ამბობს ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი.

გარდა ამისა „2010 წლის ზაფხულში ცეზარ ჩოჩელის მოთხოვნით, შპს „ნიუ-ენერჯიმ“ ჩოგბურთის და კალათბურთის მოედნების

მოსანყობად, თურქეთიდან 61 845 ლარის ღირებულების საჭირო ინვენტარი ჩამოიტანა და თბილისში, სოფელ დილოში, ცეზარ ჩოჩელის მეუღლის, სვეტლანა ჩოჩელის საცხოვრებელი სახლის ეზოში დაამონტაჟა.

გამოძიების მიერ მტკიცებულებების შეფასებისა და საერთო ანალიზის საფუძველზე, ცეზარ ჩოჩელის უკანონოდ მიღებულმა შემოსავალმა 5 421 845 ლარი შეადგინა. უკანონო სამენარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლები მას საჯარო მოხელის ყოველწლიურ ქონებრივ დეკლარაციაში არ აუსახავს“. – ეს ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე დღესაც გამოქვეყნებულია.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური „ბერტაში“ 28 იანვარს შევიდა. მიზეზი „ნიუ-ენერჯის“ და „ბერტას“ შორის განხორციელებული ფინანსური ტრანზაქციებია.

ბერტა

ბერტა 2009 წელს დაარსდა, ქართულ-შვეიცარული კომპანია საქართველოში საყოფაცხოვრებო მოხმარებისა და ჰიგიენური პროდუქტების უმსხვილესი მწარმოებელია.

პროექტის განხორციელებაში 35 მილიონი დოლარი ჩადო. შვიდ ჰექტარზე გადაჭიმული ინდუსტრიული კომპლექსი მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანში მდებარეობს. კომპლექსი ზუთი ძირითადი შენობისგან შედგება და ამდენივე დამოუკიდებელ სანარმოს აერთიანებს, რომლებიც საპონს, სარეცხ ფხვნილს, შამპუნს და თხევად სანმენდ საშუალებებს უშვებს.

ბერტამ თავისი პროდუქცია ამოქმედებიდან რამდენიმე თვეში საზღვარგარეთაც გაიტანა, მისი ექსპორტი აზერბაიჯანში უკვე ხორციელდება, კომპანია მოლაპარაკებებს ბელორუსიასთან, სომხეთთან, ყაზახეთთან და შუა აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთანაც აწარმოებდა.

სანარმოს გახსნისას საქართველოს პრეზიდენტიც ეწვია, ის აქცენტს სამუშაო ადგილების გაჩენაზე ამახვილებდა.

ქარხანას ამჟამად ლუქი ადევს. მისი მომავალი გამოძიების შედეგებზე დამოკიდებული.

ბარამბო

ჩოჩელის ოჯახის კუთვნილი კიდევ ერთი სანარმო მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტარში 2009 წლის 11 მარტს ყოფილი გუბერნატორის ძმამ იაგო ჩოჩელმა და მისმა ბიზნესპარტნიორმა ლუხუმ კაპანაძემ დააარსეს. კომპანიას წლების განმავლობაში სახელმწიფო დაკვეთები



არ აკლდა. სატენდერო ხელშეკრულებების თანახმად, 2011 წლის 15 მარტს – შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ბარამბოსგან“ 130 692 ლარის ღირებულების 13 ტონა შოკოლადი შეიძინა; 2011 წლის 11 დეკემბერს – 383 977 ლარის ღირებულების 48 ტონა შოკოლადი; 2011 წლის 23 დეკემბერს – 569 999 ლარის 72 ტონა ტკბილეული. 2012 წლის 2 მაისს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა ბარამბოსგან 382 169 ლარის ტკბილეული შეიძინეს. 2011 წლის 23 დეკემბერს ბარამბოსგან ტკბილეული თბილისის მერიაზე იყიდა.

ის ფაქტი, რომ ასეთ ტენდერებს უმრავლეს შემთხვევაში, იაგო ჩოჩელის კომპანია იგებდა, ბადებს ეჭვს, რომ კომპანიას სახელმწიფოსგან პრიორიტეტი ჰქონდა მინიჭებული. თუმცა, ცეზარ ჩოჩელი „ლიბერალთან“ საუბრისას ამას კატეგორიულად გამორიცხავს, და ტენდერებში წარმატებებს პროდუქციის საუკეთესო ხარისხს მიაწერს.

ზედაზენი

2012 წლის 2 აპრილს, მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოში, ზედაზენის მთის ძირას, გაიხსნა ლუდის ქარხანა „ზედაზენი“, რომელშიც 70 მილიონზე მეტი ინვესტიცია ჩაიდო. ქარხანა ჩეხურმა კომპანიამ დააპროექტა. საწარმო პირადად საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა. გახსნის ცერემონიაზე მან ლუდსახარშს „სასწაულიც“ კი უწოდა.

„ზედაზენმა“ სასწაული მართლაც ჩაიძინა და დაარსებიდან ორი კვირის თავზე მისთვის არც მეტი და არც ნაკლები – რუსეთის ბაზრის კარი გაიღო. „ზედაზენს“ ბოთლებით ვლადიკავკაზში მდებარე ირსტეკლოს ქარხანა ამარაგებდა, ხოლო პროდუქცია რუსეთში სომხურ გადაამზიდ კომპანიას – „სპაიკს“ გაჰქონდა.

კომპანიის 20 პროცენტი დაზვერვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის გელა ბეჟუაშვილის ძმას, დავით ბეჟუაშვილს ეკუთვნის, 10 პროცენტი ნაციონალური მოძრაობის ყოფილ დეპუტატს და PSP-ს მფლობელ კახა ოქრიაშვილს, ხოლო 70% ყოფილი გუბერნატორის

საყოფაცხოვრებო ნივთების მწარმოებელი ქარხანა „ბერტა“ ამჟამად დალუქულია. წეროვანი

ძმას, იაგო ჩოჩელს.

როგორ მოხდა, რომ ლუდსახარშის ყველა მენილე ან თავადაა გავლენიანი პოლიტიკოსი, ან კი პოლიტიკოსებთან ნათესაობა აკავშირებს? და რამდენად დამაჯერებელია, რომ ისეთი წმინდად პოლიტიკური საკითხი, როგორიცაა რუსეთის ბაზარზე შესვლა პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე მოხერხდა? – ექსპერტურნატორის პასუხი არ იცვლება – აწყობილი ბიზნესი და ნიჭიერი მარკეტოლოგები წარმატების საიდუმლოა.

კონკურენტმა კომპანიების წარმომადგენლებმა „ლიბერალთან“ საუბარი არ ისურვეს, თუმცა, რამდენიმე დისტრიბუტორმა დაადასტურა, როგორ შეექმნათ ზოგიერთ მსხვილ სავაჭრო ქსელში პროდუქციის შეტანის პრობლემა, მას შემდეგ რაც ბაზარზე „ზედაზენი“ გამოჩნდა.

დისტრიბუტორები ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ნატახტარზე“ საუბრობდნენ. აღსანიშნავია, რომ ეს ლუდსახარშიც ჩოჩელების დაარსებულა, თუმცა მოგვიანებით გაყიდეს და 60 მილიონი დოლარი მიიღეს.

ინტერპლასტი

შპს „ინტერპლასტი“ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მწარმოებელი ქარხანაა, 2 წლის წინ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების მიხედვით ქარხანა 460 დასახელების პროდუქციას ამზადებს.

„საწარმოს სრული საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი – შპს „ინტერპლასტი“, თბილისი, დიდი ლილო. სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილე პირის ვინაობა – ცეზარ ჩოჩელი. საქმიანობაში მონაწილეობის ფორმა – პარტნიორი“.

ეს არის ამონაწერი ცეზარ ჩოჩელის ქონებრივი დეკლარაციიდან რომელიც პრეზიდენტის ყოფილმა რწმუნებულმა 2012 წლის 26 მაისს შეეცა.

ქარხანა 2007 წელს მიხილ სააკაშვილმა გახსნა, საქართველოს პრეზიდენტი აცხადებდა, რომ საწარმო ყველა იმ კომპანიას, რომლებსაც სამშენებლო მასალები საზღვარგარეთიდან შემოჰქონდათ, სერიოზულ კონკურენტობას გაუწევდა. „მომავალი წლის შემოდგომისთვის საქართველოს დაახლოებით 2 ათას სკოლაში ფანჯარები ჩასასმელი და გათბობა დასამონტაჟებელი, თუ კონკურენტუნარიანი ფასები გექნებათ, ეს შეკვეთა შეგიძლიათ მთლიანად თქვენ აიღოთ“, – უთხრა ქარხნის ხელმძღვა-

ნელებს საქართველოს პრეზიდენტმა გახსნის ცერემონიაზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ჩოჩელის კუთვნილი „ინტერპლასტი“ დანაშაულებრივ საქმეში იყო ჩართული, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა და საბოლოო მიზნად ბიძინა ივანიშვილი „ქართუბანკის“ გაკოტრებას ისახავდა.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა ბანკისთვის პრობლემების შექმნა მას შემდეგ გადწყვიტეს, რაც ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში ჩართვის შესახებ საჯაროდ განაცხადა.

„ქართუს“ გაკოტრების გზა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, 2011 წლის დასაწყისში, იუსტიციის მაშინდელმა მინისტრმა ზურაბ ადეიშვილმა, შემოსავლების სამსახურის ყოფილი უფროსი ჯაბა ებანოიძე საკუთარ კაბინეტში დაიბარა.

მინისტრთან საუბრის შემდეგ ებანოიძე შემოსავლების სამსახურის აუდიტის უფროსს, მამუკა ლაშხიას და მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელის მოადგილეს, ოთარ აგლაძეს შეხვდა და მინისტრისგან მიღებული ინსტრუქციის შესრულება დაავალა.

შპს „ინტერპლასტი“, ს/ს „პირიმზე“, „შპს სამკერვალო ფაბრიკა ლაურა ლაჭავაძე“... ეს ის კომპანიებია, რომლებსაც აგლაძე და ლაშხია დაუკავშირდნენ და – როგორც შსს-ს განცხადებაში აღნიშნული – „დანაშაულებრივ საქმეში“ ჩართვა მოსთხოვეს. სააქციო საზოგადოება „პირიმზეც“ და სამკერვალო ფაბრიკაც ლაურა ლაჭავაძეს კუთვნილებდა. ლაურა ლაჭავაძე კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსის ერეკლე კოდუას დედაა.

დღეს მოქმედი კანონით იურიდიული პირისთვის საგადასახადო დავალიანების აღმოჩენის შემთხვევაში, სახელმწიფოს მისი ქონების აუქციონზე გატანა იმისდა მიუხედავად შეუძლია, დატვირთულია თუ არა ეს ქონება იპოთეკით. შსს-ს მტკიცებით ყოფილმა მაღალჩინოსნებმა კანონი პარლამენტს საგანგებოდ შეაცვლევინეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ყოფილმა უფროსმა ჯაბა ებანოიძემ, ამავე სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილმა უფროსმა მამუკა ლაშხიამ, მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილმა მოადგილემ ოთარ აგლაძემ, და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტ-

■ „ზედაზენმა“ სასწაული მართლაც ჩაიდინა და დაარსებიდან ორი კვირის თავზე მისთვის არც მეტი და არც ნაკლები – რუსეთის ბაზრის კარი გაიღო. „ზედაზენი“ ბოთლებით ვლადიკავკაზში მდებარე ირსტეკლოს ქარხანა ამარაგებდა, ხოლო პროდუქცია რუსეთში სომხურ გადამზიდ კომპანიას – „საპაიკს“ გაჰქონდა.



ჩოჩელეების საწარმოებში 6 ათასამდე ადამიანი დასაქმებულია. ნატატარი

ტკბილეულის მწარმოებელ კომპანია „ბარამბოს“ წლების განმავლობაში სახელმწიფო დაკვეთები არ აკლდა. ნატატარი





ლუდის მწარმოებელ ქარხანა „ზე-დაზენში“ 70 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია ჩაიდო.

დაარსებიდან ორი კვირის თავზე „ზედაზენისთვის“ რუსეთის ბაზრის კარი გაიღო. საგურამო

ტრის ყოფილმა მოადგილემ დავით გიორგაძემ სამართალდამცველებთან ითანამშრომლეს და გამოძიებას ინფორმაცია მიანოდე. ამ ინფორმაციის მიხედვით, ბიზნესმენებს, რომლებსაც "ბანკ ქართუში" საკრედიტო სესხი ჰქონდათ, არარსებული საგადასახადო დავალიანება უნდა ელიარებინათ. ამის შემდეგ, იმ ქონებას, რომელიც ბანკის მიერ იპოთეკით იყო დატვირთული, აუქციონზე გაიტანდნენ, სადაც მყიდველი არ დაფიქსირდებოდა, რადგან აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი ნიკოლოზ შელია აუქციონებს შლიდა. ამის შემდეგ ეკონომიკის სამინისტრო ქონებას პირდაპირი მიყიდვის წესით, სიმბოლურ ფასებში სხვა კომპანიებზე ყიდდა. ამ კომპანიებს, სი-

ნამდვილეში ამავე ქონების ყოფილი მეპატრონეები აკონტროლებდნენ. ამ გზით, ხელისუფლებასთან დაახლოებულ ბიზნესმენებს არც ქონება ეკარგებოდათ და სქემაში მონაწილეობით, "ბანკი ქართუს" საკრედიტო დავალიანებაც უუქმდებოდათ, რომლის უზრუნველყოფას სწორედ იპოთეკით დატვირთული ქონება წარმოადგენდა. დაზარალებული "ქართუ ბანკი" რჩებოდა, ბანკს იმ დროისათვის მწარმოებლისთვის 59 მილიონ 997 ათას 363 აშშ დოლარისა და 3 მილიონ 757 ათასი ლარის კრედიტები ჰქონდა მიცემული.

შინაგან საქმეთა სამინისტრო სადემონსტრაციოდ ცეზარ ჩოჩელის კუთვნილი შპს „ინტერპლასტის“ მაგალითზე მიუთითებს:

„ინტერპლასტს“ ბანკის 15 მილიონი ემართა. ეს სესხი 55 ათასი კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთით და ქარხანა-დანადგარებით ჰქონდა უზრუნველყოფილი.

კომპანიამ 3 მილიონი ლარის დავალიანება აღიარა, 2011 წლის ბოლოსთვის შეცვლილი კანონის საფუძველზე სახელმწიფომ სამშენებლო მასალების დამამზადებელი ქარხნის იპოთეკით დატვირთული ქონება აუქციონზე გაიტანა, რომელიც ხელოვნურად ჩაიშალა, შემდეგ კი სახელმწიფომ დაისაკუთრა.

სახელმწიფოს კუთვნილი ქონება პრეზიდენტმა პირდაპირი მიყიდვის წესით შპს „ტექინვესტს“ გადასცა. ტექინვესტის 100%-იანი წილი კი „ინტერპლასტმა“ 1000 ლარად იყიდა. შედეგად „ქართუ ბანკმა“ 15 მილიონი ლარით იზარალა.

შსს-ს მტკიცებით, სისხლის სამართლის საქმეში არსებული ჩვენებებითა და უტყუარი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ბანკ „ქართუს“ გასაკოტრებლად მოფიქრებულ სქემაში ყოფილი ხელისუფლების სხვადასხვა რგოლები, პარლამენტი, იუსტიციის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები, მათში შემავალი სტრუქტურებითა და ქვედანაყოფებით შეთანხმებულად და ორგანიზებულად მოქმედებდნენ.

ბიზნესი და პოლიტიკა

„რა სისულელეა – ამბობს ცეზარ ჩოჩელი და ამ ბრალდებასაც უარყოფს, – ჩემი ტვინი ბიზნესურადაა მოწყობილი, მე იმაზე ვფიქრობ, რა შევქმნა, რა ავაშენო, რა განავითარო, და არა – ვის ნავართვა, ვის მოვატყუო, როგორი სქემა დავხლართო...“

ჩოჩელი ნიუ-ენერჯისა და ბერტას შორის განხორციელებულ ტრანზაქციაზეც საუბრო-



ბს, და ამტკიცებს, რომ ეს ფინანსური ოპერაცია ნიკოლოზ შაქარაშვილმა განახორციელა, რომელიც ორივე კომპანიაში წილებს ფლობს. „კაცმა თავის ანგარიშზე ფული შეიტანა, მე რა შუაში ვარ? – კითხულობს ჩოჩელი.

„ნიუ ენერჯის“ 70% – იანი წილის მფლობელი ლუხუმ კაპანაძეა, კაპანაძე საგამოძიებო სტუდია „მონიტორის“ ფილმების მიხედვით, ყოფილი პრემიერმინისტრის, ვანო მერაბიშვილის ახლო მეგობარი და პარტნიორია, თავის მხრივ კავშირები აქვთ კაპანაძეს და ჩოჩელსაც.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, „ნიუ-ენერჯიმ“, დევნილთა კოტეჯების ასაშენებლად დაკვეთა მიიღო. მშენებლობას შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი მეთვალყურეობდა. რომელმაც კონტროლი ცეზარ ჩოჩელს დააფარა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „გამჭვირვალობა საქართველოს“ ანგარიშის მიხედვით, „ნიუ ენერჯიმ“ 27000 კოტეჯის ასაშენებლად, 95 მილიონი ლარი მიიღო.

სტუდია მონიტორის საგამოძიებო ფილმში „მინისტრის მეგობარი 2“ ჩანს, რომ ნეროვანის კოტეჯების კარ-ფანჯრებს „ინტერპლასტი“ აწერია. ეს იმას ნიშნავს, რომ „ნიუ-ენერჯის“ სამშენებლო მასალები ჩოჩელების კომპანიაში მიაწოდდა.

“მერე რა? – ამბობს ყოფილი რწმუნებული, – ამ რაოდენობის და ასეთი ხარისხის მასალებს სხვაგან სად იშოვნოდა?”

მიუხედავად იმისა, რომ თავისი საოჯახო ბიზნესის ხელისუფლებიდან მფარველობას უარყოფს, არ მალავს, რომ გუბერნატორის თანამდებობა თავისი სურვილის სანინააღმდეგოდ, ხელისუფლების თხოვნით დაიკავა.

- კონკრეტულად ვინ გთხოვდა?
- ამას ამ ეტაპზე არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.
- იყო თუ არა ეს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი?
- კი, ერთ-ერთი მათგანი იყო.
- რა ინტერესი ჰქონდა ვანო მერაბიშვილს?

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ჩოჩელის კუთვნილი „ინტერპლასტი“ დანაშაულებრივ საქმეში იყო ჩართული. დიდი ლილო

■ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ჩოჩელის კუთვნილი „ინტერპლასტი“ დანაშაულებრივ საქმეში იყო ჩართული, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგებოდა და საბოლოო მიზნად ბიძინა ივანიშვილი „ქართუ-ბანკის“ გაკოტრებას ისახავდა.



ჩოჩელის ხელში გადასვლის შემდეგ შპალების ქარხანამ მრავალმილიონიანი ლარის სახელმწიფო დაკვეთა მიიღო და მთელი დატვირთვით ამუშავდა. თბილისი

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად „ლიბერალმა“ ყოფილ პრემიერთან დაკავშირება სცადა, თუმცა, ვერ შეძლო.

რაც ყველაზე საინტერესოა, ჩოჩელი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, ერთხელაც „ქართული ოცნება“ დააფინანსოს. „რატომაც არა? თუ დაფინანსებ რომ ქვეყანა სწორი გზით მიჰყავთ, ეს სრულიად შესაძლებელია.“ – ამბობს ის. მიუთითებს თუ არა ეს განცხადება, რომ ცეზარ ჩოჩელი გზების გამონახვას ახალ ხელისუფლებასთანაც ცდილობს? – ეს უფრო დანამდვილებით სასამართლო პროცესების დასრულების შემდეგ გამოჩნდება.

ჩოჩელის ბიზნესისა და ხელისუფლების „კოჰაბიტაციის“ კიდევ ერთი მაგალითი რკინიგზის

შპალების ქარხანაა. 2010 წელს, შემოდგომაზე, ეკონომიკის სამინისტრომ ამ ქარხანას, სახელმწიფოს ვალეები ჩამოაწერა და შემდეგ იაგო ჩოჩელს მიჰყიდა, ქარხნის გაყიდვიდან ძალიან მალე მარაბდა-თეთრინყაროს სარკინიგზო მაგისტრალის რეაბილიტაცია და თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა დაიწყო. რკინა-ბეტონის შპალების ქარხანამ მრავალმილიონიანი ლარის სახელმწიფო დაკვეთა მიიღო და მთელი დატვირთვით ამუშავდა.

იმის დასამტკიცებლად, რომ მის ოჯახს სახელმწიფოსგან დიდი სიკეთით არ უსარგებლია, ცეზარ ჩოჩელი, შპალების ქარხნის ფოტოებს გვაჩვენებს და გვიყვება, თუ როგორი



■ ჩოჩელის ბიზნესისა და ხელისუფლების “კოპა-ბიტაციის” კიდევ ერთი მაგალითი რკინიგზის შპალეების ქარხანაა. 2010 წელს, შემოდგომაზე, ეკონომიკის სამინისტრომ ამ ქარხანას, სახელმწიფოს ვალები ჩამოაწერა და შემდეგ იაგო ჩოჩელს მიჰყიდა, ქარხნის გაყიდვიდან ძალიან მალე მარაბდა-თეთრინყაროს სარკინიგზო მაგისტრალის რეაბილიტაცია და თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობა დაიწყო. რკინა-ბეტონის შპალების ქარხანამ მრავალმილიონიანი ლარის სახელმწიფო დაკვეთა მიიღო და მთელი დატვირთვით ამუშავდა.

დანგრეული და გაპარტახებული იყო საწარმო ვიდრე მისი ძმა ჩაიბარებდა და აღადგენდა. თუმცა, ეს არგუმენტი საწინააღმდეგოზე უფრო მიუთითებს – რა შემთხვევაში გარისკავდა პრაგმატული ბიზნესმენი გაჩანაგებული ქარხნის ყიდვას? სავარაუდოდ, იმ შემთხვევაში თუ უმსხვილესი დაკვეთა გარანტირებული ექნებოდა.

თუმცა, რისკთან დაკავშირებით ცეზარ ჩოჩელს თავისი დამოკიდებულება აქვს: „ჩვენ სულ ასე ვმოქმედებთ, 1991 წლიდან, რაც ბიზნესი დაეიწყეთ, გამუდმებით ვრისკავთ. ახლაც, არჩევნების შემდეგ ხუთნახევარი მილიონი ევროს ინვესტიცია განვახორციელეთ. ასე რომ არსად გაქცევას არ ვაპირებ“.

ყოფილი გუბერნატორის თქმით, ციხეში წასავლელად მორალურად მზად არის, თუმცა ხელის ჩამოშვებას და უბრძოლველად დანებებას არ აპირებს – „თუ საქართველოში სამართალი ვერ ვიპოვნეთ, სხვა ინსტანციებიც არსებობს.“

ცეზარ ჩოჩელთან ბრძოლა ადვილი არ არის. მის საწარმოებში 6 ათასამდე ადამიანი დასაქმებული. მათი 80% დევნილია, რომლებიც კომპანიების ქონების ნაწილის დაყადაღების გამო უკვე უკმაყოფილებას გამოთქვამენ. ყველა გარემოება მიუთითებს, რომ ცეზარის იმპერიასზე ზენოლა პოლიტიკური თვალსაზრისით უმტკივნეულო პროცესი არ იქნება. ■



"24 საათი" - ჰიპოკრიზიების ბედია

გაზეთი „24 საათი“ 2003 წლიდან გამოდის, ტირაჟი დაახლოებით 5 ათასი ეგზემპლარია, 3 ათასამდე მუდმივი ხელმომწერი ჰყავს და მთელი ქვეყნის მასშტაბით ვრცელდება. „24 საათს“ საზოგადოებისთვის ცნობილი გამომცემლები ჰყავს: მამუკა ფაჩუაშვილი და პაატა ვეშაპიძე. ჩვენ მიერ მოპოვებული დოკუმენტაციით, გაზეთმა და მისმა დამფუძნებლებმა სახელმწიფოს ხელშეწყობით 2005-2012 წლებში რამდენიმე მილიონი ლარის მოცულობის შეკვეთა მიიღეს. განათლების სამინისტროს დახმარებით კი „24 საათის“ დამფუძნებლები სასკოლო სახელმძღვანელოების ბიზნესში მთავარი მოთამაშეები გახდნენ.

გია მგელაძე, სტუდია „მონიტორი“

სასკოლო სახელმძღვანელოების პიზნესი

2012 წლის 5 სექტემბერს განათლების სამინისტროში ბრიფინგი გაიმართა, რომელზეც ახალ სასწავლო წელს სასკოლო სახელმძღვანელოების რეალიზაციის ახალ წესებზე ისაუბრეს. სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, ახალ სასწავლო წელს სახელმძღვანელოებს – მხოლოდ „საქართველოს ფოსტა“, 400-მდე სკოლა და რამდენიმე მაღაზია გაუწევდა რეალიზაციას. განათლების სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა იმ სავაჭრო დანესებულებების სია, სადაც სასკოლო სახელმძღვანე-

ლოების შეძენა იყო შესაძლებელი. სიაში თბილისში მდებარე მხოლოდ 5 მაღაზია მოხვდა, არადა, წინა წლებში სასკოლო წიგნებს დედაქალაქში წიგნის მაღაზიების რამდენიმე ქსელი და ათეულობით ინდივიდუალური მოვაჭრე ყიდდა.

2012 სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო სახელმძღვანელოების დისტრიბუტორები და გამომცემლები მომგებიან სეზონს ელოდნენ. განათლების სამინისტროს გრიფირებით მე-7 და მე-12 კლასის ჩათვლით ახალი სახელმძღვანელოები დაიბეჭდა და წინა წლებში გამოცემული წიგნებით მოსწავლეები ველარ ისარგებლებდნენ,

ამიტომაც წელს დიდი ოდენობით სახელმძღვანელოები უნდა გაყიდულიყო, თუმცა სინამდვილეში პირიქით მოხდა.

თბილისში მდებარე წიგნის მაღაზიების უმრავლესობა სასკოლო სახელმძღვანელოების გარეშე აღმოჩნდა. როგორც მაღაზიის წარმომადგენლებმა გვითხრეს, განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით სავაჭრო წერტილების, სკოლების მომარაგების ექსკლუზიური უფლება შპს „24 საათი პრინტმა“ და „საქართველოს ფოსტამ“ მიიღო, ამდენად მხოლოდ ისინი წყვეტდნენ სად გაიყიდებოდა სახელმძღვანელოები და სად – არა. წიგნით მოვაჭრეებმა



გვითხრეს, რომ წინა წლებში სასკოლო წიგნებს გამომცემლებისგან თავისუფლად ყიდულობდნენ და შემდეგ რელიზაციას უკეთებდნენ.

„საქართველოს ფოსტა“ 100%-ით სახელმწიფო კომპანიაა და მას სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისთვის სახელმწიფოს მიერ შეძენილი სახელმძღვანელოების გადაცემა დაევალა, სკოლებში და სავაჭრო ორგანიზაციებში კი სახელმძღვანელოების დისტრიბუციის ექსკლუზიური უფლება „24 საათი პრინტი“ მოიპოვა.

შპს „24 საათი პრინტი“ 2012 წლის თებერვალში შეიქმნა, მისი დამფუძნებლები გაზეთ „24 საათის“ გამომცემლები პაატა ვეშაპიძე, მამუკა ფაჩუაშვილი და მათი კიდევ ერთი პარტნიორი, ირაკლი ლეჟავა არიან. ფირმამ დაფუძნებიდან რამდენიმე თვეში განათლების სამინისტროსთან მემორანდუმში გააფორმა, რითიც სასკოლო წიგნების დისტრიბუციის უფლება მიიღო.

2012 წლამდე გამომცემელი იზიდავდა ავტორებს, ქმნიდა სახელმძღვანელოს ელექტრონულ ვერსიას და დასაბეჭდად გადასცემდა საკუთარ, ან დაქირავებულ სტამბას, დაბეჭდილ სახელმძღვანელოს ადებდა ფასს და მსხვილი და წვრილი წიგნით მოვაჭრეებზე ჰყიდდა.

განათლების მინისტრად დიმიტრი შაშკინის დანიშნვის შემდეგ, მდგომარეობა შეიცვალა, განათლების სამინისტრომ გამომცემლებს სასკოლო სახელმძღვანელოების ფასის ზედა ზღვარი – 10 ლარი დაუდგინა. ამის შემდეგ სახელმძღვანელოების უმრავლესობა მაღაზიებში 10 ლარად იყიდებოდა, ამ წიგნებს გამომცემლები წიგნით მოვაჭრეებს 10%-დან 20 %-მდე ფასდაკლებით, ანუ 8-9 ლარად აძლევდა. აქედან გამომდინარე, მოვაჭრეებს წიგნზე საშუალოდ 1-დან 2 ლარამდე რჩებოდათ.

2012 წელს გამომცემელსა და მოვაჭრეებს შორის „24 საათი პრინტის“ სახით გაჩნდა დამატებითი რგოლი, რომელმაც გასაყიდი წიგნების მთელი ტირაჟი შეისყიდა და მოვაჭრეებს თავად მიჰყიდა.

„24 საათი პრინტი“ 1 ცალი 10 ლარიანი სახელმძღვანელოდან დაახლოებით 1.50 ლარი დარჩა. წიგნით მოვაჭრეებს კი – დაახლოებით 50 თეთრიდან 1 ლარამდე. დისტრიბუტორების ნაწილმა მოგების მიზერულ მარჯაზე მუშაობაზე უარი თქვა, ნაწილმა კი „24 საათი პრინტთან“ მაინც ითანამშრომლა. ერთ-ერთი იყო წიგნის მაღაზიათა ქსელი „ლიბრას“ წარმომადგენლები, რომელსაც ქსელში არსებული ოთხი მაღაზიიდან წიგნების შეტანის უფლება მხოლოდ ერთ მაღაზიაში მისცეს, „ლიბრას“ წარმომადგენლებმა სახელმძღვანელოები რამდენიმე სკოლაშიც შეიტანეს.

„24 საათი პრინტი“ წყვეტდა, რომელ მაღაზიებში უნდა გაყიდულიყო სახელმძღვანელო და მოგების რამდენპროცენტის მარჯა შეიძლებოდა დარჩენოდა მაღაზიას. წიგნების მაღაზიის ზოგიერთ ქსელშიც წელს სასკოლო სახელმძღვანელოები საერთოდ არ გაყიდულა, მათ შორის იყო „ბიბლუსი“, რომელიც 38 მაღაზიას აერთიანებს და 2010 წლიდან სასკოლო სახელმძღვანელოების რელიზაციასაც ეწევა. „ბიბლუსის“ წარმომადგენელთა თქმით, 2012 წლის სასაწავლო წლისათვის საკუთარ ქსელში სახელმძღვანელოების შეტანას ამაოდ ცდილობდნენ. „ბიბლუსის“ პიარ მენეჯერი ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ სასკოლო წიგნების ქსელში შეტანას ეცადნენ, მაგრამ ვერ მოახერხეს.

გამომცემლების ნაწილი ამბობს, რომ „24 საათი პრინტის“ მოთხოვნით 15 ოქტომბრამდე სახელმძღვანელოების სხვა სუბიექტებისთვის გადაცემის უფლება არ ჰქონდათ, ამასვე ადასტურებენ ჩვენ მიერ 2012 წლის ნოემბერში გამოკითხული წიგნის მაღაზიების წარმომადგენლები. ჩვენ რამდენიმე მაღაზიის წარმომადგენელი ფარულად ჩავწერეთ. ყველა ჯერზე ჩვენი რესპონდენტები ერთსა და იმავეს ადასტურებდნენ.

გამომცემლობა „პედაგოგიკას“ ხელმძღვანელი ერთ-ერთია, ვინც ინტერვიუზე უარი არ გვითხრა. ირინა რუხაძე, რომელიც 10 წელზე მეტია საგამომცემლო ბიზნესში საქმიანობს, ამბობს, რომ სახელმძღვანელოების სარელიზაციოდ „24 საათი პრინტისთვის“ გადაცემა განათლების სამინისტროს ჩარევით მოხდა. „2012 წელს ჩვენ მიგვიწვიეს სამინისტროში, რეკომენდაცია იყო სამინისტროს მესვეურებისგან გადაეცათ სახელმძღვანელოები რელიზაციისთვის მხოლოდ „24 საათი პრინტი“-სთვის. მითითება იყო ასეთი, რომ თქვენ არ გაქვთ უფლება სხვა ორგანიზაციას გადასცეთ წიგნები, ან თავად გაყიდოთ 2012 წლის ოქტომბრის ბოლომდე. ამის შემდეგ „24 საათი პრინტთან“ ხელშეკრულებაც დავდეთ,

თუმცა ხელშეკრულებაშიც შეზღუდული ვიყავით. სამწუხაროდ, სხვა სამინისტრომ ალტერნატივა არ დაგვიტოვა. ძლიერი ზეწოლა იყო, პირდაპირ გამოგვიცხადეს სამინისტროში 20%-იანი ფასდაკლებით უნდა გადასცეთ ამ ორგანიზაციას ნიგნებიო“, – იხსენებს ირინა რუხაძე.

რას წარმოადგენს საქართველოში სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზარი, რომლის ხელოვნური მმართველიც 24 საათი პრინტი“ გახდა? ამაზე დაახლოებით წარმოდგენას განათლების სამინისტროს მიერ მომზადებული სტატისტიკური ინფორმაცია იძლევა. სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წელს საქართველოს სკოლებში სულ ნახევარ მილიონზე მეტი მოსწავლეა, აქედან 128 ათასი სოციალურად დაუცველია, ისინი ნიგნებით სახელმწიფომ უზრუნველყო.

დარჩენილ 430 ათას მოსწავლეს წელს ნიგნი „24 საათი პრინტი“ გავლით უნდა შეეძინა. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, ერთ მოსწავლეს საშუალოდ 80 ლარის სახელმძღვანელო სჭირდება. თუ ჩავთვლით, რომ მოსწავლეების მინიმუმ ნახევარმა შეძლო ნიგნების შეძენა, ანუ 10 მოსწავლიდან 5-ს აქვს ნიგნი, მივიღებთ, რომ „24 საათი პრინტი“ გავლით 2012 წელს 215 ათასმა მოსწავლემ საშუალოდ 80 ლარის ნიგნი შეიძინა, რაც ჯამში 17 მილიონ 200 ათასი ლარი გამოდის, მინიმალური 10%-იანი მარჟის შემთხვევაშიც, შპს „24 საათი პრინტი“ ნიგნების რეალიზაციით, სულ მცირე, 1 მილიონ 700 ათასი ლარის მოცულობის მოგება უნდა ენახა.

ხელოვნური მონოპოლისტის შექმნამ დისტრიბუტორები და მომხმარებელი დააზარალა, დისტრიბუტორებმა დაგეგმილი შემოსავალი ვერ მიიღეს და სეზონურად სასკოლო სახელმძღვანელოების რეალიზაციაში დასაქმებული ადამიანები შემოსავლის გარეშე დარჩნენ. დამატებითი დისკომფორტი შეექმნათ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, რადგან მაღაზიებში სახელმძღვანელოებს ვერ ყიდულობდნენ. შეგახსენებთ, რომ საქართველოში არსებული 2000-ზე მეტი საჯარო სკოლიდან სახელმძღვანელოები მხოლოდ 400 სკოლაში გახსნილ წერტილებში გაიყიდა, აქ, როგორც წესი, რიგები იდგა.

2012 წელს გამომცემელსა და მოვაჭრებს შორის „24 საათი პრინტი“ სახით გაჩნდა დამატებითი რგოლი, რომელმაც გასაყიდი ნიგნების მთელი ტირაჟი შეისყიდა და მოვაჭრეებს თავად მიჰყიდა.

როგორ იქნა მოკოვიპული სახელმძღვანელოების გეგმის უფლება

გამომცემლების და პოლიგრაფიული საწარმოების წარმომადგენლების მონათხრობის მიხედვით, 2011 წელს განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სასკოლო ნიგნების სოლიდური ნაწილის დაბეჭდვა „24 საათის“ გამომცემლებს დაუკვეთეს. გამომცემლობა „დიოგენეს“ ხელმძღვანელი „24 საათის“ გამომცემლებთან იძულებით თანამშრომლობაზე საუბრობს. თამარ ლებანიძე 15 წელზე მეტია, საგამომცემლო საქმეშია და ამბობს, რომ მანამდე სახელმძღვანელოების ბეჭდვა თავისუფლად ხდებოდა.

„მინისტრის ერთ-ერთ მოადგილესთან შეხვედრის დროს გაგვიჩვენეს, დაგვატოვებინეს ყველაფერი სათვალის ჩათვლით, ამით, როგორც ჩანს, გამოირიცხეს დოკუმენტურად რამის დაფიქსირების შესაძლებლობა. ამ შეხვედრაზე ახსენეს „24 საათი“. ეს იყო ძალიან მძიმე პროცედურა ჩვენთვის, სიმართლე გითხრათ, იყო შიშის ფაქტორი, რამაც გადაწყვეტი როლი შეასრულა არამარტო „დიოგენეს“ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, სხვა გამომცემლების შემთხვევაშიც. შიში იმისა, რომ შემოგწყრება განათლების სამინისტრო, რომ მას აქვს ბერკეტები სამომავლოდ შენი ნიგნების დაბლოკვის, რომ ეს გაართულებს სკოლებთან ავტორებთან ურთიერთობას. ბევრი ფაქტორია, რაც გამომცემლობას აიძულებს ითანამშრომლოს არასასურველ პარტნიორთან“, – გვითხრა თამარ ლებანიძემ.

სახელმძღვანელოების დაბეჭდვა გამომცემლებმა შპს „მეკ“-ს დაუკვეთეს,

„მეკ“ 2004 წელს მამუკა ფაჩუაშვილმა, ვიქტორ გათიკაშვილმა და პაატა ვეშაპიძემ დააფუძნეს, ფირმის სახელწოდებაც მათი სახელების პირველი ასოების ნაკრებია. შპს „მეკ“ გაზეთ 24 საათს გამოსცემს, სახელმძღვანელოების ბეჭდვის ბიზნესში კი ეს ფირმა 2 წლის წინ გამოჩნდა.

„მეკ“-სთან იძულებით თანამშრომლობაზე საუბრობს გამომცემლობა პედაგოგიკის ხელმძღვანელიც. „2012 და წინა წელს ჩვენ შეზღუდული ვიყავით, არ გვქონდა უფლება, რომ დაგვებეჭდა სხვა პოლიგრაფიულ საწარმოში, აუცილებლად უნდა დაგვებეჭდა „24 საათის“ სტამბაში“, – ამბობს ირინა რუხაძე.

ბაზარზე „მეკ“-ს გამოჩენამდე გამომცემლების ნაწილი სახელმძღვანელოებს თურქეთში ბეჭდავდა, ნაწილი კი – საქართველოში არსებულ სტამბებში. ზოგიერთ გამომცემელს საკუთარი სტამბა ჰქონდა და ნიგნების ნაწილს თავისსავე სტამბაში ბეჭდავდა. 2011 სასწავლო წელს გამომცემლების უმრავლესობა იძულებული გახდა „24 საათი პრინტი“-სთან ეთანამშრომლა.

გამომცემლების ნაწილმა ინტერვიუზე უარი გვითხრა, მათ შორის იყვნენ „ინტელექტისა“ და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ხელმძღვანელები. ეს ორი კომპანია სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზრის სოლიდურ წილს ფლობს. უფრო გულახდილები არიან პოლიგრაფიული საწარმოების წარმომადგენლები, რომლებსაც „24 საათი პრინტი“ გამოჩენამ სერიოზული ფინანსური ზიანი მიაყენა.

პოლიგრაფიული საწარმო „ფავორიტი“ 2009 წელს დაფუძნდა, საწარმოში სოლიდური ინვესტიცია ჩადეს და 170 ადამიანი დაასაქმეს. „ფავორიტი“ ამბობენ, რომ 20-მდე გამომცემელი მათი მუდმივი კლიენტი გახდა და სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვა დაიწყეს, 2011 წელსაც გამომცემლებთან შეთანხმებას მიაღწიეს და 5 მილიონი ლარის ღირებულების ნიგნების ბეჭდვისთვის თადარიგი დაიჭირეს.

ფავორიტის წარმომადგენლის ინფორმაციით, 2011 ზაფხულის დასაწყისში გამომცემლებმა „ფავორიტს“ სახელმძღვანელოების შეკვეთაზე უარი განუცხადეს და მთლიანი ტირაჟი „24 საათი პრინტი“-ს დაამფუძნებლებს გადასცეს.



ფოტო: ატიკა ბოლუა

„11 ივლისს გამოცხადდნენ ჩვენთან ჩვენი პარტნიორი გამომცემლები, გვითხრეს, რომ მათ აქვთ მითითება განათლების სამინისტროსგან, განათლების მინისტრისგან, რომ ეს წიგნები, რაც მათ გრიფით აქვთ მინიჭებული, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა დაბეჭდილიყო სხვა სტამბებში, მითითება მისცეს, რომ ეს წიგნები აუცილებლად უნდა დაბეჭდონ „24 საათის“ სტამბაში“, – იხსენებს ფავორიტის წარმომადგენელი.

გამომცემლობა „ტორის“ დირექტორი ირაკლი დოლიძე ამბობს, რომ გამომცემლებმა სახელმძღვანელოები „24 საათ პრინტში“ დასაბეჭდად სახელმწიფოს ზენოლით წაიღეს. „პირდაპირ მეუბნებოდნენ, ეს არის განათლების სამინისტროს პირდაპირ მოთხოვნა, რომ უნდა დაიბეჭდოს „24 საათში“. რატომ უნდა დაიბეჭდოს „24 საათში“, ეს სხვა თემაა. ბევრ გამომცემელს თვითონ თავისი სტამბა აქვს, და როცა მინისტრმა დაიბარა და უთხრა წაიღებ „24 საათში“, კაცმა უთხრა, მე ჩემი სტამბა მაქვს, სადაც გაცილებით იაფი მიჯდება წიგნის დაბეჭდვა, ეს სახელ-

მწიფო მოთხოვნააო“, – იხსენებს „ტორის“ ხელმძღვანელი.

სტამბების წარმომადგენლების ინფორმაციით, საბოლოოდ გასულ და მიმდინარე სასწავლო წელს სახელმძღვანელოების უმრავლესობა „24 საათის“ გამომცემლების გავლით დაიბეჭდა. განათლების ყოფილი მინისტრის დიმიტრი შაშკინის ინფორმაციით, სასკოლო სახელმძღვანელოების ბაზარი საქართველოში 60 მილიონ ლარს შეადგენდა, სტამბებში ამბობენ, რომ წიგნის ბეჭდვისას მოგება 15 დან 20%-მდე მერყეობს. გამოდის, რომ სახელმწიფოს ხელშეწყობით სახელმძღვანელოების ბეჭდვით „24 საათის“ გამომცემლებმა ბოლო 2 წელში რამდენიმე მილიონი ლარი იშოვეს.

სახელმწიფოსგან იაფად გადაცემული ქონება

„24 საათის“ გამომცემლების მიმართ სახელმწიფოს მხარდაჭერა სახელმძღვანელოების ბიზნესში პრივილეგიების მიღებით არ შემოფარგლულა. ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციით, 2009 წლის მარტში პრეზიდენტის განკარგულებით და

თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებით, შპს „მეკ“-ს საკუთრებაში გადაეცა თბილისში ჯიქიას 5-ში მდებარე მიწა, სადაც დღეს მათი კუთვნილი სტამბა განთავსებული.

„24 საათის“ გამომცემლებს 3300 კვ.მ. მოცულობის ნაკვეთი 6 თვიანი განვადებით, 20 ათას ლარად მიჰყიდეს, ანუ 1 კვადრატულის ღირებულება დაახლოებით 6 ლარი გამოდის. ნიშანდობლივია ის, რომ თბილისის საკრებულოს მიერ 2009 წლის თებერვალში მიღებული გადაწყვეტილებით, თბილისის იმ ზონაში, სადაც ჯიქიას ქუჩაც შედის, კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული, ანუ სახელმწიფოს მიერ დადგენილი მინიმალური ფასი 96 ლარი იყო. „24 საათის“ დაფუძნებლებს კი, თბილისის მერიამ 1 კვ.მ ნორმატიულ ფასზე 15-ჯერ იაფად, თანაც განვადებით მიჰყიდა. „მეკ“-მ აღნიშნული ნაკვეთი „თიბისი ლიზინგის“ სასარგებლოდ 101 000 ლარად იპოთეკით დატვირთა, „თიბისი ლიზინგმა“ ეს ნაკვეთი იმაზე ხუთჯერ ძვირად შეაფასა, ვიდრე „მეკ“-მ სახელმწიფოსგან შეიძინა.

თბილისის მერიისგან მიწის იაფად გადაცემის სანაცვლოდ, შპს „მეპ“-ს ხელშეკრულებით გარკვეული ვალდებულებების შესრულება დაეკისრა. კომპანიას 2011 წლის მარტის ბოლომდე უნდა აეშენებინა ჟურნალისტის სკოლა, გაზეთ „24 საათის“ ოფისი, უნდა მოეწყო ჟურნალისტთა კლუბისა და შეხვედრების ცენტრი, ასევე, ტრენინგები და სემინარები უნდა გაემართა ჟურნალისტებისთვის. აღნიშნული ობიექტების ექსპლუატაციაში შეყვანა 2011 წლის მარტამდე უნდა დასრულებულიყო.

ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების ნაცვლად, დღეს ამ ადგილას მხოლოდ „მეპ“-ს კუთვნილი პოლიგრაფიული საწარმოა განთავსებული, სადაც ევროპიდან ჩამოტანილი სტამბის დანადგარებია დამონტაჟებული და წიგნების საბეჭდადაა გამართული.

სახელმწიფო შიკვითები

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით „24 საათის“ სტამბამ სოლიდური სახელმწიფო შეკვეთები შეასრულა. ჩვენ რამდენიმე შეკვეთით დაინტერესდით.

24 საათის სტამბას ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაახლოებით 400 ათასი ლარის პროდუქციის დაბეჭდვა შეუკვეთა, მათ შორის თვითმმართველობის და საპარლამენტო არჩევნებისთვის რამდენიმე მილიონი ბიულეტენის.

2010 წლის 17 სექტემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ „მეპ“-ს ერთ პირთან მოლაპარაკების წესით, ანუ ტენდერის გარეშე, 3500 ცალი საარჩევნო ადმინისტრაციის გადამზადებისთვის საჭირო ტესტების და პასუხების წიგნის დაბეჭდვა შეუკვეთა. ამ მომსახურებაში ცესკომ ჯამში 32 ათასი ლარი გადაიხადა. ჩვენ ხელშეკრულებაში არსებული პროდუქციის აღწერის დეტალები ორ ქართულ სტამბას წერილობით გავუგზავნეთ და ვკითხეთ, რა დაჯდება მათ სტამბებში ამ პარამეტრების მქონე პროდუქციის ბეჭდვა.

სტამბების მიერ გამოგზავნილი ფასი „24 საათის“ გამომცემლების ფასს ბევრად ჩამორჩება: „24 საათში“ 1 ცალი წიგნის დაბეჭდვაში 9 ლარი მიიღო, სტამბების მიერ გამოგზავნილი ფასით კი, ერთ წიგნს დაახლოებით 5 ლარად ბეჭდადნენ. ორივე სტამბის მიერ შემოთავაზებული ფასი „24

მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ „24 საათის“ გამომცემლებს ამ წლებში დაახლოებით 2,5 მილიონი ლარის მოცულობის სახელმწიფო შეკვეთა აქვთ მიღებული. თბილისის მერიიდან – 172 ათასი ლარი, განათლების სამინისტროდან – 155 ათასი, გარემოს დაცვის სამინისტროდან – 79 ათასი, ფინანსთა სამინისტროსგან – 58 ათასი, იუსტიციის სამინისტროსგან – 55 ათასი.

საათის“ დამფუძნებლებისთვის გადახდილი ფასის დაახლოებით ნახევარია.

2011 წლის თებერვალსა და მარტის დასაწყისში ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს დაკვეთით, შპს „მეპ“-მ დაახლოებით 2 მილიონ 300 ათასი ცალი ვაუჩერი დაბეჭდა. ელექტროენერჯის, სურსათის და სოფლის მეურნეობის ვაუჩერებს ხელისუფლების წარმომადგენლები პირადად არიგებდნენ.

ვაუჩერების ბეჭდვაში „24 საათის“ სტამბას ჯამში დაახლოებით 130 ათასი ლარი გადაუხადეს, 1 ვაუჩერის ბეჭდვა საშუალოდ ხუთნახევარი თეთრი დაჯდა. ჩვენ წინა შეკვეთის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, ვაუჩერების პარამეტრები სტამბებს გადაუგზავნეთ და მათი ფასი ვიკითხეთ. აღმოჩნდა, რომ პოლიგრაფიული საწარმო „ტორი“ ანალოგიურ ვაუჩერს 24 საათზე 3-ჯერ იაფად, ანუ 1 თეთრ ნახევრად დაბეჭდავდა, „ფავორიტი პრინტი“ კი – დაახლოებით 3.5 თეთრად.

კიდევ ერთი კონტრაქტით 2012 წლის 11 ივლისს შპს „მეპ“-ს სოციალური მომსახურების სააგენტომ 840 ათასი ცალი სამუშაოს მაძიებლის აღრიცხვის ბარათი შეუკვეთა და ერთი ცალის დაბეჭდვაში 4 თეთრი გადაუხადა. ჩვენ მიერ გადამოწმებისას, ხელშეკრულებაში აღწერილი 1 ბარათის ბეჭდვის ფასად „ფავორიტი პრინტი“ – 2,8 მეთაედი თეთრი, „ტორიმ“ კი – 2,6 მეთაედი თეთრი მოგვწერა, რაც იმაზე

დაახლოებით 40%-ით იაფია, რაც სახელმწიფომ „მეპ“-ს გადაუხადა.

„24 საათის“ დამფუძნებელთა და სახელმწიფოს თანამშრომლობა ვარდების რევილუციიდან მოკლე დროში დაიწყო. 2004 წლის თებერვალში გაზეთმა „ალიამ“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით – „24 საათი“ „საქართველოს რესპუბლიკას“ ჩაენაცვლა“. საქმე ეხებოდა სახელმწიფო უწყებების განცხადებების ექსკლუზიურად, მხოლოდ „24 საათში“ გამოქვეყნებას, გაზეთების გამომცემლების ნაწილი ამ ფაქტს უარყოფითად შეხედნენ. თუმცა, 2006 წლის იანვარში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ხელმძღვანელის ბრძანებაში პირდაპირ ჩაინერა, რომ ტენდერების შესახებ სახელმწიფო დაწესებულებების განცხადებები მხოლოდ „24 საათში“ უნდა გამოქვეყნებულიყო.

მას შემდეგ სახელმწიფო განცხადებების აბსოლუტური უმრავლესობა გაზეთ „24 საათში“ ქვეყნდება, ასე გაგრძელდა 2010 წლის შემდეგაც, მიუხედავად იმისა, რომ 2010 წლის ოქტომბერში ოფიციალური ინტერნეტგვერდი შეიქმნა, სადაც ყველა შემოსიყვრელი და მიმწოდებელი ორგანიზაციაა დარეგისტრირებული და, კანონით, ყველა სახელმწიფო შესყიდვა ამ ვებგვერდის გამოყენებით მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, „24 საათში“ სახელმწიფო განცხადებები დღემდე რამდენიმე გვერდზე იბეჭდება.

ჩვენს ხელთ არსებული ხელშეკრულებების მიხედვით, სააგენტოს ვებგვერდიდან 1 განცხადების გაზეთში გადატანასა და გამოქვეყნებაში სახელმწიფო დაწესებულებები „24 საათს“ 50 ლარს უხდიან. ეს გადანყვეტილება კითხვებს უჩენს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტ სულხან სალაძეს.

„პირველი, ელექტრონული განცხადების გამოქვეყნება აუცილებელი იყო ვებგვერდზე და ეს იყო აუცილებელი პირობა იმისა, რომ ზოგადად, სახელმწიფო შესყიდვა გამოცხადებულიყო. მეორე, ჩნდება შეკითხვა, რა აუცილებლობა იყო, რომ იგივე განცხადება გამოქვეყნებულიყო „24 საათში“, და მესამე, თუკი დაინტერესებულ მხარეს უნდოდა, რომ ეს ინფორმაცია სხვა საშუალებითაც გავრცელებულიყო, მაშინ რატომ და რა კრიტერიუმებით იყო მაინ-

ცადამინც შერჩეული გაზეთი „24 საათი“ ინფორმაციის გავრცელების არეალად? – მიაჩნია სულხან სალაძეს.

სახელმწიფოს გადაწყვეტილების მართებულობა განცხადებების მხოლოდ „24 საათში“ გამოქვეყნების შესახებ დღემდე ეჭვს ბადებს, ვინაიდან ოფიციალური ინფორმაციით „24 საათის“ ტირაჟი 5000-დან 5500 ცალამდე მერყეობს, აქედან 3000 ორგანიზაციებს აქვს გამოწერილი, 2000-2500 ცალი კი, თავისუფალ გაყიდვაშია, ეს მაშინ, როდესაც, თუნდაც გაზეთ „კვირის პალიტრის“ ტირაჟი, შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციით, დაახლოებით 35 ათასია.

„6 წლის განმავლობაში ერთი მედია საშუალებისთვის ამ უფლება-მოსილების ექსკლუზიურად გადაცემა, ბუნებრივია, ძალიან ბევრ შეკითხვას აჩენს, მით უფრო იმ ფონზე, რომ საზოგადოებაში გავრცელებული ინფორმაციით, ეს მედია საშუალება არ არის იმხელა მოცულობის ტირაჟის მქონე, რომ ამ კუთხით სახელმწიფოსთვის ინტერესს წარმოადგენდეს. სახელმწიფოს პოლიტიკაც უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ მოცემული თანხის პირობებში შეერჩია ისეთი მედია საშუალება, რომელსაც შეიძლება უფრო მაღალი ტირაჟი ჰქონოდა“, – ამბობს სალაძე.

ჩვენ „საქართველოს ახლგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ სამართლებრივი დახმარებით, ზოგიერთ შემთხვევაში კი, სასამართლოს დავის გზით, მოვიპოვეთ სახელმწიფო დანესებულებებსა და „მეპ“-ს შორის 2005 წლიდან 2011 წლის ჩათვლით გაფორმებული ხელშეკრულებების დიდი ნაწილი.

მიღებული დოკუმენტაციის მიხედვით ირკვევა, რომ „24 საათის“ გამომცემლებს ამ წლებში დაახლოებით 2,5 მილიონი ლარის მოცულობის სახელმწიფო შეკვეთა აქვთ მიღებული. თბილისის მერიიდან – 172 ათასი ლარი, განათლების სამინისტროდან – 155 ათასი, გარემოს დაცვის სამინისტროდან – 79 ათასი, ფინანსთა სამინისტროსგან – 58 ათასი, ოუსტიციის სამინისტროსგან – 55 ათასი და ა.შ. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია არასრული და ყველა სახელმწიფო დანესებულებას არ მოიცავს, რაც გვაფიქრებინებს, რომ სა-

ხელმწიფო შეკვეთების ჯამური მოცულობა 2.5 მილიონზე უფრო მეტია.

სატენდერო და საკონკურსო განცხადებების გამოქვეყნების გარდა, „24 საათის“ სახელმწიფო დანესებულებები ფულს უწყების საქმიანობის, ან ხელმძღვანელის რეკლამირებაშიც უხდიდნენ. მაგალითად, შ.ს.ს-ს მომსახურების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, „მეპ“-მ 61 ათასი ლარი მიიღო „24 საათში“ სააგენტოს საქმიანობის ამსახველი საიმიჯო მასალების გამოქვეყნებაში.

უზენაესმა სასამართლომ „მეპ“-სთან ჯამში 8000 ლარის ღირებულების 3 ხელშეკრულება გააფორმა. აქედან ორი ხელშეკრულება „24 საათში“ სტატიების გამოქვეყნების შეკვეთას ეხებოდა, ერთი ხელშეკრულებით კი, ისევ „24 საათში“ სამართლის ძლიერი ბლოკი უნდა მომზადებულიყო, რისთვისაც სამი თვის განმავლობაში გაზეთმა 6000 ლარი მიიღო.

ჩვენ უზენაესი სასამართლოდან ამ შეკვეთის შესრულების დამადასტურებელი საგაზეთო ნომრები გამოვითხოვეთ, აღმოჩნდა, რომ ნაყიდ საგაზეთო ფართზე უზენაესი სასამართლოს ხელმძღვანელების ინტერვიუებია გამოქვეყნებული, ისინი ქართული მართლმსაჯულების წარმატებებზე საუბრობენ და სასამართლოს საქმიანობას დადებითი კუთხით წარმოაჩენენ.

ნიმანდობლივია ისიც, რომ მასალების არც დასაწყისში და არც ბოლოს არ არის მითითებული, რომ პუბლიკაციები სარეკლამო შინაარსისაა და დაკვეთითაა დამზადებული, რაც ეთიკური პრინციპების დარღვევად მიაჩნია „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ აღმასრულებელ დირექტორს, თამარ კორძაიას. „როდესაც გაზეთი ჰყიდის თავის გვერდს, იღებს ამაში საფასურს და არ უთითებს, რომ ამ მასალაში ფულია გადახდილი, მაშინ იგი ანდის არასწორ ინფორმაციას თავის მკითხველს, მარტივად რომ ვთქვათ, ატყუებს მას“, – თვლის თამარ კორძაია.

კიდევ ერთი ხელშეკრულება, რომელზეც ყურადღება გავამახვილეთ, საზოგადოებრივ მაუწყებელსა და „მეპ“-ს წარმომადგენელს შორის 2010 წელს გაფორმდა. ხელშეკრულების მიხედვით, 40 ათასი ლარის სანაცვლოდ „მეპ“-მ საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოველთვიური ჟურნალის

„მაუწყებლის“ დაბეჭდვის ვალდებულება აიღო. ნიმანდობლივია ის, რომ ხელშეკრულებას „მეპ“-ს სახელით ხელს მამუკა ფაჩუაშვილი აწერს, რომელიც იმჟამადაც და დღესაც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრია. შეგახსენებთ, რომ სამეურვეო საბჭოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის კონტროლი ევალება.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთი ფუნქცია არის, მაგალითად, ბიუჯეტის დამტკიცება, ასევე, ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენა და ამ ფონზე, როდესაც სამეურვეო საბჭოს წევრს, რომელსაც მინიმუმ ერთი ხმა აქვს, ბიუჯეტის მოსმენისას, მას აქვს ინტერესი ეკონომიკური. თურმე, შემოსავალს იღებს იმ საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტიდან, რომლის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც არის. შესაბამისად, არ შეგვიძლია, დარწმუნებული ვიყოთ, რომ ის იქნება მიუკერძოებელი, როდესაც აფასებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის საქმიანობას“, – ამბობს კორძაია.

ყველა ზემოთ მოყვანილ საკითხზე „24 საათის“ გამომცემლების კომენტარის მოპოვება ჩვენ ხელთ არსებული ყველა მეთოდით ვცადეთ, ორჯერ მივედით „24 საათის“ ოფისში, გაზეთში დაფიქსირებულ ელექტრონულ ფოსტაზე გავუგზავნეთ შეტყობინება და ვცადეთ ტელეფონით დაკავშირება, თუმცა უშედეგოდ. სახლში მივაკითხეთ „24 საათის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს და ხელმძღვანელს მამუკა ფაჩუაშვილს, რომელმაც ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა არ ისურვა.

„24 საათის“ გამომცემლები საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები არიან, მათ ინვევენ სატელევიზიო გადაცემებში, სთხოვენ ქვეყანაში და მედიაში არსებული მდგომარეობის შეფასებას, მათ ხშირად, როგორც დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი მედიასაშუალების მფლობელებად წარმოაჩენენ, არადა მათ სახელმწიფოსგან მილიონობით ლარის სახელმწიფო დაკვეთა მიიღეს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ბოლომდე გვეკონდა იმედი, რომ საზოგადოებას ფილმში ნამოჭრილ საკითხებზე მათ პოზიციასაც მივანოდებდით, თუმცა ეს ვერ მოხერხდა. 

სად მივყავართ ყახსი-ახალქალაქის ხინიბზას?

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი უკვე არაერთხელ გახდა ქართულ-აზერბაიჯანული გაუგებრობის მიზეზი: თუ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ეჭვქვეშ პროექტის ეკონომიკურ მიზანშეწონილობას აყენებს, აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრი ზია მამედოვი აცხადებს, რომ ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის საქართველოს მონაკვეთზეც წესებს აზერბაიჯანი ადგენს.

მანანა ვარდიშვილი



ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალმა, რომელიც რუსეთის ტრანს-ციმბირული რკინიგზის მთავარ ალტერნატივად განიხილება, აზია ევროპას რუსეთის გვერდის ავლით უნდა დაუკავშიროს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტს თავის დროზე „რკინის აბრეშუმის გზაც“ უწოდეს, მის განხორციელებას დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს აშშ-ის კონგრესში. აშშ-ს კონგრესმა 2006 წლის დეკემბერში მიიღო აქტი, რომლის თანახმადაც აშშ-ს „ექსპორტ-იმპორტ ბანკს“ პროექტის დაფინანსება აეკრძალა. ამერიკელმა კონგრესმენმა ჯოზეფ ქროულიმ, რომელიც ამ საკითხს ლობირებდა, განაცხადა, რომ ეს სადავო რკინიგზის პროექტი „გამოთიშავს სომხეთს და გააგრძელებს ამ კავკასიელი ერის უკანონო ეკონომიკურ ბლოკადას“.

აშშ-ს კონგრესში სომხური ლობის მიერ განეული წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებმა ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის საქართველოს მონაკვეთის მშენებლობა მარაბდის ველზე 2007 წლის 21 ნოემბერს გახსნეს. საზეიმო ღონისძიებაზე საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა ვრცლად ისაუბრა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე: „ჩინეთის ტვირთები, რომელიც რუსეთის გავლით მიდის ევროპაში, ახლა ამ მაგისტრალით ისარგებლებენ... ეს არის ძალიან დიდი გეოპოლიტიკური რევოლუცია“. ითქვა ისიც, რომ პროექტის რეალიზებაში დიდი წვლილი შეიტანა ყაზახეთმაც, რომელმაც გადაწყვიტა, რომ 10 მილიონი ტონა ტვირთი სწორედ ამ რკინიგზით გადაიტანოს.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის ფარგლებში, ახალქალაქიდან თურქეთის ქალაქ ყარსამდე რკინიგზის ახალი, 98-კილომეტრიანი მონაკვეთი უნდა აშენდეს. აქედან საქართველოს ტერიტორიაზე გადის 30 კმ-იანი მონაკვეთი – ახალქალაქიდან თურქეთის სოფელ კარნახამდე.

ამ მონაკვეთის მშენებლობა აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო ფონდის მიერ გამოყოფილი კრედიტის მეშვეობით ხორციელდება, რომლის საერთო რაოდენობა 775 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. კრედიტი ორ ტრანშად არის გაყოფილი. 2007 წელს

აზერბაიჯანმა საქართველოს 20-წლიანი ვადით 200 მლნ დოლარის ოდენობის სესხი გამოუყო, წლიური 1% განაკვეთით, 2011 წელს კი 575 მლნ დოლარი, 25-წლიანი ვადით და 5%-იანი წლიური განაკვეთით.

აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო ფონდის ინფორმაციით, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობისთვის 2013 წლის პირველ იანვრამდე უკვე დახარჯულია 431,3 მლნ აშშ დოლარი. გასულ წელს ამ პროექტზე 151,5 მლნ აშშ დოლარი დაიხარჯა, წლევეანდელი ბიუჯეტი კი 175 მლნ აშშ დოლარს შადგენს. თანხას სახელმწიფო კომპანია – შპს „მარაბდა-კარნახის რკინიგზა“ განკარგავს, რომელიც ახალი რკინიგზის დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით 2007 წელს შეიქმნა.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის საპროექტო სიმძლავრე 17 მლნ ტონა ტვირთს შეადგენს. თუმცა, სანყის ეტაპზე ის მხოლოდ 6,5 მლნ ტონა ტვირთს გადაიტანს.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა 2010 წლის ბოლოს უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ფინანსური, პოლიტიკური და რელიეფური სირთულეების გამო ამ ვადამ რამდენჯერმე გადაინა.

რკინიგზის მშენებლობის ერთ-ერთ შემაფერხებელ მიზეზად აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელი შახმარ მოვსუსოვი საქართველოში შექმნილ დაძაბულ პოლიტიკურ მდგომარეობას ასახელებს. არის შეფერხების კიდევ სხვა მიზეზი: 2007 წლის შემდეგ ნავთობი რამდენჯერმე გაიფუტა და აზერბაიჯანს ნავთობის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები მნიშვნელოვნად შეუმცირდა, რის გამოც პროექტის დაფინანსება არაერთხელ შეფერხდა. გარდა ამისა, თავი იჩინა ტექნიკურმა პრობლემებმაც. საქართველო-თურქეთის დამაკავშირებელი გვირაბის მშენებლობისას გაირკვა, რომ გვირაბი მეწყერსაშიშრონაში უნდა გასულიყო და ამიტომ პროექტი შეიცვალა.

შპს „მარაბდა-კარნახის რკინიგზის“ ახალი ხელმძღვანელი ირაკლი წულაია, რომელმაც ამ თანამდებობაზე ბიძინა ბრეგვაძე ჩაანაცვლა, აცხადებს, რომ ახალი გეგმის თანახმად ახალქალაქი-ყარსის მონაკვეთის მშენებლობა 2014 წლის ბოლოსთვის უნდა დამთავრდეს.

თუმცა, რკინიგზის ექსპლუატაციაში შესვლამდე ერთი წლით ადრე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მისი ეკონომიკური მიზანშეწონილობა ეჭვქვეშ დააყენა. პრემიერ-მინის-

ტრი მიიჩნევს, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედების შემდეგ შესაძლოა, შავი ზღვის პორტებს ტვირთბრუნვა შეუმცირდეს.

ამჟამად მოქმედ საქართველოს რკინიგზას, რომელიც ბაქოს და ცენტრალური აზიის ქვეყნებს ფოთისა და ბათუმის პორტებთან აკავშირებს, 20 მილიონი ტონა ტვირთის გადატანა შეუძლია. სწორედ მისი ტვირთების ნაწილი შეიძლება გადამისამართდეს ახალქალაქი-ყარსის რკინიგზის ახალ მაგისტრალზე. თუმცა, მაშინ, როცა ახალი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა იგეგმებოდა, საუბარი იყო დამატებითი ტვირთების მოზიდვაზე, და არა უკვე არსებულის გადანაწილებაზე.

ივანიშვილი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე საპროექტო სიმძლავრით ძველი რკინიგზაც არ არის დატვირთული: „ახალმა რკინიგზამ შეიძლება ტვირთების დიდი ნაწილი მოკლე გზით გადაიტანოს და ამან უარყოფითად იმოქმედოს არსებულ რკინიგზაზე და პორტებზე მანამ, სანამ არ მოხდება ეკონომიკის ზრდა აზიის ქვეყნებში. ძველი რკინიგზა დატვირთული არ არის და მისი სიმძლავრის გაზრდაზე იხარჯება თანხები. ვგულისხმობ გვირაბს ხაშურთან. ამ დროს ჩნდება კითხვა, რისთვის კეთდება ეს, თუ ტვირთბრუნვა შეუმცირდება“, – ამბობს პრემიერ-მინისტრი და იქვე იმასაც დასძენს, რომ საქართველოს ხელსაყრელ გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას „პატრონობა და სწორი გამოყენება უნდა“.

ყარსი-ახალქალაქის რკინიგზასთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების პასუხად აზერბაიჯანში განაცხადეს, რომ „მოთმინებით დაელოდებიან, სანამ საქართველოს ახალი ხელისუფლება ქვეყნის მართვის გამოცდილებას დააგროვებს და საგარეო პოლიტიკის კურსს საბოლოოდ ჩამოაყალიბებს“.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის საკითხზე აზერბაიჯანისა და საქართველოს პირველმა პირებმა ბაქოში, 2012 წლის დეკემბერში პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ვიზიტის დროსაც იმსჯელეს. ვიზიტის ბოლოს ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი „დარეგულირებადი“. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ექსპლუატაციის სანაცვლოდ, ქართული მხარე აზერბაიჯანისგან ფოთის და ბათუმის პორტების სრული დატვირთვის გარანტიას მოითხოვს.

■ თუმცა, რკინიგზის ექსპლუატაციაში შესვლამდე ერთი წლით ადრე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მისი ეკონომიკური მიზანშეწონილობა ეჭვქვეშ დააყენა. პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის ამოქმედების შემდეგ შესაძლოა, შავი ზღვის პორტებს ტვირთბრუნვა შეუმცირდეს.



ფოტო: თემო თაყაიშვილი

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის თემაზე ქართულ და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის წამოჭრილი რიგით მეორე გაუგებრობა მისი ექსპლუატაციის წესებს უკავშირდება. თბილისში, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ არაფორმალური დიალოგის ფარგლებში გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრმა ზია მამედოვმა განაცხადა, რომ რადგან ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის ინიციატორი და დამფინანსებელი აზერბაიჯანია, ამიტომ აზერბაიჯანის თანხმობის გარეშე, რკინიგზის საქართველოს მონაკვეთით ვერავინ ისარგებლებს.

ამ რეპლიკით ზია მამედოვი სომხეთის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის მოადგილის არტაშე ავეტისიანის განცხადებას გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ სომხეთი მზად არის, შესაძლებლობის შემთხვევაში ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა თავისი ტვირთის გადაზიდვისთვის გამოიყენოს.

■ აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრმა ზია მამედოვმა განაცხადა, რომ რადგან ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის ინიციატორი და დამფინანსებელი აზერბაიჯანია, ამიტომ აზერბაიჯანის თანხმობის გარეშე, რკინიგზის საქართველოს მონაკვეთით ვერავინ ისარგებლებს.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის ერთადერთი დამფინანსებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკაა. თავდაპირველად გამოყოფილია 200 მილიონი აშშ დოლარი – 25-წლიანი სესხი წლიური 1% განაკვეთით. სესხის პროექტის მმართველი, შპს „მარაბდა-კარნახის რკინიგზის“ ხელმძღვანელი ირაკლი წულაია „ლიბერალთან“ საუბარში აცხადებს, რომ „მას შემდეგ, რაც ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა დასრულდება, აზერბაიჯანი და საქართველო ერთობლივ საწარმოს შექმნიან, რომელიც რკინიგზით ექსპლუატაციის წესებს და სატარიფო პოლიტიკას განსაზღვრავს. რაც შეეხება კრედიტს, მას შპს „მარაბდა-კარნახის რკინიგზა“ რკინიგზის ამოქმედების შედეგად მიღებული წმინდა მოგებიდან დაფარავს“.

ახალქალაქი – კარნახის მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოებს „აზერინშაატსერვისი“ აწარმოებს. ახლა კლიმატური პირობების გამო სამშენებლო სამუშაოების ტემპი დაბალია. გაზაფხულიდან ამ სამშენებლო მონაკვეთზე სამუშაოები მთელი დატვირთვით დაიწყება. **□**

ფოტო: სომეხი პოლიტიკოსი



"ჩინუხი ხელეცი" ქუთაისში

„ხუალინის საერთაშორისო სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში, რომელიც ქუთაისის ავტოქარხნის ტერიტორიაზეა, ჯერ მშენებლობა არ დამთავრებულა, ამიტომაც, იქ ჯერ არავის უშვებენ. დახურული კარი კი აჩენს მითს „ჩინურ კვარტალზე“.

ნათია ბილისოძე

ქარხნის ჩამოშლილი ნაწილისფერი კედლები რამდენიმე წელია, რაც ყვითელმა ფასადებმა შეცვალა. იქ, სადაც ადრე საბჭოთა ინდუსტრიის სიამაყე – ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ოფიციალური შესასვლელი იწყებოდა, ახლა წითელი ჩინური ფარნებია ჩამოკიდებული, ხოლო ყვითლად შეღებილ კედლებზე ჩინური

წარწერები – იეროგლიფებში შემდეგი იკითხება: „ხუალინის საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონა“, რაც განმარტავს კიდევ იმ ტერიტორიის მესაკუთრის ვინაობას.

აქ ჯერ ისევ ახალი წელია – ჩინური ახალი წელი. წითელი ფარნებიც ამ საახალწლო განწყობის შესაქმნელად თითქ-

მის ყველგან ჰკიდია. გარდა იმისა, რომ რამდენიმე მცირე საწარმოო ფუნქციონირებს, მათ შორის ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქრო, აქ არის სასტუმრო და რამდენიმე დასასვენებელი ობიექტი შენდება, როგორც კომპანიაში ამზობენ, ყველა ტიპის მომხმარებლისთვის, და არა მხოლოდ ჩინელებისთვის. პროექტები ჯერ



„პროექტები ჯერ კიდევ დაუსრულებელია, ამიტომ კარი ყველასთვის ღია არ არის და იქ მოხვედრა მხოლოდ საშვებითაა დასაშვები. ეს კი ქუთაისში ქმნის მითს „ჩინური კედლის“ მიღმა არსებულ „ჩინური კვარტლზე.“

კიდევ დაუსრულებელია, ამიტომ, კარი ყველასთვის ღია არ არის და იქ მოხვედრა მხოლოდ საშვებითაა დასაშვები. ეს კი ქუთაისში ქმნის მითს „ჩინური კედლის“ მიღმა არსებულ „ჩინური კვარტლზე.“

„სწორედ სტერეოტიპების დამკვიდრებას თავად ჩვენ ვუწყობთ ხელს. მათი ხასიათის გაგებაში ხელს გვიშლის ჩინური კულტურის და ტრადიციების სათანადოდ არცოდნა“- ამბობს ხათუნა ბაგრატიონი, ჩინური ენის სპეციალისტი, რომელიც უკვე 14 წელია საქართველოში ჩამოსულ ჩინელებს ადგილობრივ გარემოსთან ადაპტაციაში ეხმარება.

მისივე თქმით, ჩინელების საქართველოში სამუშაოდ ჩამოსვლა ისეთივე პროცესია, როგორც ქართველების საზღვარგარეთ – იტალიასა თუ საბერძნეთში სამუშაოდ წასვლა. „მე ძირითადად მცირე მენარმეებთან – პატარა მალაზიების

პატრონებთან მიხდება შეხება, არ მინახავს არც ერთ მათგანი აქ სახლის ყიდვაზე ოცნებობდეს, როგორც კი ფული გაუჩნდებათ, ევროპაში გარბიან. წლებია მათ სასამართლოში და ნოტარიუსთან დავეყვები, უამრავ საბუთთან მაქვს საქმე, მაგრამ, საქართველოს მოქალაქის პასპორტით ერთი ჩინელიც კი არ მინახავს“- ამბობს ხათუნა ბაგრატიონი.

სიან ლი იანი 30 წლამდე ჩინელი გოგონაა, რომელიც საქართველოში ექვსი წელია ცხოვრობს. მან ჩინეთში რუსული ენის ფაკულტეტი დაამთავრა და ახლა „ხუალინის“ კომპანიაში თარჯიმნად მუშაობს. ამბობს, რომ ძალიან გაუმართლა, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, მისი ამხანაგებისგან განსხვავებით, სამუშაო რომ იშოვა და აქ რომ მოხვდა. მართლმადიდებლურადაც მოინათლა, თუმცა, დაბრუნებას მაინც თავის სამშობლოში გეგმავს.

„კლიმატთან და აქაურ საკვებთან შეუგუებლობა ერთ-ერთი ის მიზეზი არის, რაც მათ საქართველოში დამკვიდრებას გამორიცხავს. ავად რომ გახდებიან, ჩვენებურ მედიკამენტებსაც ვერ ეგუებიან და სამკურნალოდ უკან, ჩინეთში მიდიან – გვიყვება ხათუნა ბაგრატიონი – ისე, საოცრად თბილი და გულისხმიერი ადამიანები არიან, 2008 წლის ომის დროს, რამდენიმე ნაცნობი ჩინელი მირეკავდა და თავშესაფარს ჩემი შვილებისთვის, მათთან, ჩინეთში მთავაზობდა“.

„ერთი სული მაქვს, საქმეს როდის მოვრჩები, პენსიაში როდის გავალ და ჩემს სახლში დავბრუნდები. ისეთი დატვირთული ვარ, შვილის ქორნილშიც ვერ წავედი. ჩინეთში დღეში ერთი კოლოფი სიგარეტი მჭირდებოდა, აქ ორ კოლოფს ვენევი, იმიტომ რომ მონევით მონატრებას ვკლავ“ – ამბობს „ხუალინის“ გენერალური დირექტორი, ხე პენ ლი.

მან ახლადაშენებულ სასტუმროში ჩინური ტრადიციების შესაბამისად და საახალწლო განწყობით მიგვიღო.

ხე პენ ლი იმ დისკოფორტებზე იუმორით ყვება, რაც საქართველოში ცხოვრებასთან ახლავს, ქუთაისის ნესტიანი ჰაერის, ავტოქარხნის კოლოებისა თუ საკვებით გამოწვეული ალერგიების ჩათვლით. არამიმზიდველი კლიმატი ჩინელებისთვის მიმზიდველია ეკონომიკური კუთხით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა სერიოზულ საგადასახადო შეღავათებს გულისხმობს, აქ განსხვავებულია დაბეგერის მექანიზმებიც, ამიტომ ასეთი ზონა ყოველთვის მიმზიდველია ინვესტორისთვის, მით უმეტეს, რომ მინაც, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ძვირი არ ღირს.

„ინდუსტრიული ზონა არის ძალიან კარგი – საუკეთესო საშუალება ბიზნესის განვითარებისათვის, ამიტომ სახელმწიფომ ხელი ყველანაირად უნდა შეუწყოს ასეთი ინვესტიციების შემოდინებას“- ამბობს ქუთაისის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი მალხაზ ჭრელაშვილი.

„ქვეყანა თუ ჩაკეტავს კარს, არ განვითარდება“- ამბობს ხე პენ ლი – 20 წლის შემდეგ საქართველო ჩინეთზე უკეთესად იქნება განვითარებული, პატარა ქვეყნები ადვილად ვითარდებიან. საქართველომ კი კარჩაკეტილობით ეს შეცდომა არ უნდა დაუშვას.“

ქუთაისში ბოლო წლებში, 8 ჩინელი ბავშვი დაიბადა. ხათუნა ბაგრატიონის თქმით, მხოლოდ ერთი იზრდება აქ. დანარჩენები მშობლებმა უკანვე, ჩინეთში გააბრუნეს. მიზეზი ერთადერთია, მშობლები ჩინელ ბავშვებს თავიდანვე არიდებენ იმ უხერხულობას, რასაც ინვეს მათდამი ხელის მითითება და ალაღბედზე წარმოთქმული ფრაზა: „აი, ის ჩინელია.“

მე - ადამიანი

ირაკლი აბსანძე

დღეს ტელეეკრანზე სახედასისხლიანებული ბუტა რობაქიძე ვნახეთ. ერთხელაც დავრწმუნდით, რა ღირს ამ ქვეყანაში ადამიანის სიცოცხლე.

ამ საქმეზე, რა თქმა უნდა, არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი. ჟურნალისტები, ცხადია, ვალდებული ვართ, ეს ინტერესი, შეძლებისდაგვარად, სრულად დავაკმაყოფილოთ. თუმცა, არსებობს ერთი გა-



ბუტა რობაქიძის მეგობრები და ახლობლები დიდუბის პანთეონში, 23 ნოემბერი 2006

რემოვაც, რომელსაც ძალიან ხშირად ვივინყებთ – ჟურნალისტებიც, პოლიციელებიც, ბრალდებულებიც, ბოროტმოქმედებიც, მკითხველებიც და ტელემეყურებლებიც ადამიანები ვართ.

ადამიანები ტრაგედიის მომენტში ერთმანეთს უფრთხილდებიან. ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ადამიანებიც კი. ისიც ბუნებრივად ადამიანურია, როცა სისასტიკეზე, სისხლზე, ღია ჭრილობაზე თვალს ვჭუტავთ ან ვარიდებთ. განსაკუთრებით ადამიანურია, როცა ვცდილობთ მშობლები მოვარიდოთ საკუთარი შვილების ფიზიკური ტანჯვის ან აღსასრულის სურათებს.

თუ ვთანხმდებით, რომ ჟურნალისტებიც ადამიანები ვართ, იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ არ უნდა ვაჩვენოთ დედებს, მამებს, ძმებს, დებს, ბებია-ბაბუებს, მეუღლეებს, მეგობრებს მათთვის საყვარელი ადამიანების სველ ასფალტზე დაგდებული სისხლიანი და სულთმობრძავი სხეულები. იმიტომ, რომ ადამიანები ასე არ იქცევიან.


■ თუ ვთანხმდებით, რომ ჟურნალისტებიც ადამიანები ვართ, იმაზეც უნდა შევთანხმდეთ, რომ არ უნდა ვაჩვენოთ დედებს, მამებს, ძმებს, დებს, ბებია-ბაბუებს, მეუღლეებს, მეგობრებს მათთვის საყვარელი ადამიანების სველ ასფალტზე დაგდებული სისხლიანი და სულთმობრძავი სხეულები. იმიტომ, რომ ადამიანები ასე არ იქცევიან.

ჟურნალისტიკური ეტიკა ბრძენი ძიების მიერ ჩამოწერილი აბზაცები არაა. ამ წესებზე ჟურნალისტები იმიტომ შევთანხმდით, რომ რთულ პროფესიულ და პოლიტიკურ კონიუნქტურაში ადამიანის სახე არ დავკარგოთ. რომ რამდენიმე მოგებული წუთის ან მაყურებლის გამო არ დავუსახიჩროთ ცხოვრება სხვებს, არ დავკარგოთ საკუთარი თავისა და პროფე-

სიის პატივისცემა.

ქართულ ტელე-მედიაში დღეს გავრცელებულ კადრებში თვისობრივად ახალი, ბუტა რობაქიძის სისხლიანი სახის გარდა, არაფერი ყოფილა. საზოგადოებამ ახლაც არ იცის დანამდვილებით, ქონდათ თუ არა იარაღი პატრულის მიერ გაჩერებულ ავტომობილში მსხდარ ახალგაზრდებს. არც ის ვიცით, როგორ გააჩერეს მანქანა, ვინ გადმოიყვანეს პირველად, დაემუქრნენ თუ არა ისინი იარაღით პოლიციელებს. მოკლედ, ამ საქმეზე დღესაც მხოლოდ ის ვიცით, რაც ამ კადრების გავრცელებამდე ვიცოდით.

ჟურნალისტებს გვაქვს შეცდომის დაშვების უფლება. ადამიანები ვართ და იმიტომ. მაგრამ არ ვიცო, როგორ ხდება ხოლმე, რომ რამდენიმე სხვადასხვა ორგანიზაციაში მომუშავე ათეულობით ჟურნალისტი ერთდროულად ერთსა და იმავე შეცდომას ვუშვებთ. ისიც ხომ ცხადია, რომ თანამედროვე ადამიანისთვის ინდივიდუალური შეცდომა უფრო ბუნებრივია, ვიდრე ჯგუფური. **ა**



www.facebook.com/TalkShowLiberal

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოკ-შოუ "ლიბერალი" მსმენელს მიმდინარე მოვლენებზე, ფაქტებზე დაყრდნობილ, განსხვავებულ თვალსაზრისებს სთავაზობს.

გადაცემა მიუკერძოებლად და ობიექტურად საუბრობს ისეთ თემებზე, რომლებიც ქართულ მედიაში, როგორც წესი, მარგინალიზებულია.

გადაცემის მიზანია სადისკუსიო საკითხების სივრცის გაფართოება; იქნება ეს განათლების პოლიტიკა, ჯანდაცვა, სამართალი, ქსენოფობიის და ფუნდამენტალიზმის ნიშნები ქართულ საზოგადოებაში, უმცირესობის წარმომადგენლების უფლებების შელახვა და სხვა.

ეთერში გასვლის დრო: ყოველი სამუშაო დღე - 19:00

განმეორებით: ყოველი სამუშაო დღე - 02:00



ტოკ-შოუ "ლიბერალის" ავტორები და წამყვანები:



შორენა შავერდაშვილი



ნინო ბექიშვილი



ლიკა ზაკაძე



ნინია კაკაბაძე



თინა უშვილი



„ჩვენ საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი. ამ დროისთვის საქართველოში კოჰაბიტაციის პროცესი რთულად მიმდინარეობს, ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის შიგნით მხარეებს შორის ძირითად და არსებით საკითხებზე შეთანხმდნენ“, –

ჯეიმს აპატურაი, ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.



„დამნაშავეა დათო ბაქრაძე? გამოიძიონ და დასაჯონ დათო ბაქრაძე. დამნაშავეა გიგი უგულავა? დამნაშავეა ვანო მერაბიშვილი? დამნაშავეა მიხეილ სააკაშვილი? კი, ბატონო. არავინ არ ითხოვს იმუნიტეტს საკუთარი თავისთვის, მაგრამ თავი დაანებეთ იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს ყოველდღიურ რეჟიმში დაკითხვებზე დადიან“, –

დავით ბაქრაძე, საქართველოს პარლამენტის უმცირესობის ლიდერი.



„ჩვენთვის სულ ერთი არ არის ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალი.

საქართველო ძველ დროში არ უნდა დაბრუნდეს, სადაც არ იყო დემოკრატია და თავისუფლება“, –

ვანო მერაბიშვილი, ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი.



„საქართველოს პრეზიდენტი არის კონსტიტუციის დაცვის გარანტი, მისი აღსრულების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობა კი საქართველოს პარლამენტსაც ეკისრება“, –

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი.



„ვერავინ გაბედავს კერძო ბიზნესში ჩარევას და აღარ მოხდება არავითარი გადანაწილებები. მთავრობის არც ერთ ჩინოვნიკს არ ექნება უფლება კანონის გარეშე კერძო ბიზნესში ჩაერიოს. მე მგონია, რომ ეს ბიზნესმენებმა უკვე გააცნობიერეს“, –

ბიძინა ივანიშვილი, პრემიერმინისტრი.



www.ucnobifm.ge



RBS



NATIONS™

ჩვენსი ჩრის რეგვიონი
2 თებერვლინ
ყოვჩე პეგეთ ქვირანს

